


ԱՃԵՅՈՒԹՈ ՆԵՐՄԱՅԻՆ

4





AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırlız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayraqınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



ՀԵՇԻՋԱՆ ԱԼԻԵՎ
ԱԶԵՐԲԱՅՋԱՆԻ ԿԱԼԵՍ ՍԱՄԹԹ ԱՐԹՅԵՆԵԼՈ ՀՈՒԶԵՆ



იეგანე ჯელილოვა. ემალე ჯეფერზადე

სახელი ხელოვნება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-4 კლასისათვის
“სახვითი ხელოვნების” საგნის

სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს 04.07. 2011 წლის
№1197-ე ბრძანებით.

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო-2016

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე ამ გამოცემის ან
მისი რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა, ასლის გადაღება, ელექტრონული
საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია.


გამომცემლობა “Bakı”

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები
და წინადადებები გამოაგზავნოთ bn@bakineshr.az და derslik@edu.gov.az
ელექტრონულ მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან
თანამშრომლობისათვის!

შირაკარსი

1. მშობლიური ხელოვნების სათავეებთან

1. მშობლიური მხარე	8
2. ჩვენი მიწის ნობათი	12
3. ადამიანი აშენებს, ამკობს, გამოსახავს.	16
4. საცხოვრებლების მრავალფეროვნება	18
5. ჩვენი მიწა-წყლის ადამიანები	20
6. ხალხური წეს-ჩვეულებები	22
შეამოწმე შენი თავი	25



2. უძველესი ძაგლების მხარე

7. ქვის ფიგურები – ისტორიის მექსიერება	28
8. მავზოლეუმები. აკლდამები	31
9. უძველესი ტაძრები	32
10. უძველესი ხიდები.	34
11. ციხესიმაგრეები	36
12. სასახლეები	38
13. ქარვასლები.	39
შეამოწმე შენი თავი	40



3. ჩვენი ძველის ხელოვნება

14. უძველესი ქალაქები	42
15. ხელოსანთა ქალაქი.	44
16. სიუჟეტური ხალიჩები	46
17. ნოვრუზის ტრადიციები და წეს-ჩვეულებები	48
18. მირზა ჰადიმ ირევანი.	50
19. უსტა კამბარ კარაბალი	52
20. მირ მოჰამედ ნავაპი	54
21. ომარ ელდაროვი	56
22. თოღრულ ნარიმანბეკოვი	57
შეამოწმე შენი თავი	58



4. ყველა ერი შემოქმედია

23. ამომავალი მზის ქვეყანა	60
24. ჩრდილოეთის, მთებისა და სტეპების მკვიდრი ხალხები	63
25. ქალაქები უდაბნოში	65
26. ქველი ელადა	67
27. შუა საუკუნეების ევროპული ქალაქები	70
შეამოწმე შენი თავი	72



განსაცვიფრებელია, რაოდენ განსხვავებულად აშენებს სხვადასხვა ეროვნების ხალხი თავის სახლებს, ამშვენებს და გამოსახავს საკუთარ თავს. სწორედ ამ მრავალფეროვნებაში გამოიხატება სამყაროს სილა-მაზე.

ნებისმიერი ერის ხელოვნება ერთიანი, განუყოფელი სამყაროა, რო-მელშიც ყველაფერი ურთიერთდაკავშირებული და განუმეორებელია. ხე-ლოვნება ეხმარება ადამიანებს, უკეთ გაუგონ ერთმანეთს. სწორედ ამის შესახებ შეიტყობ „სახვითი ხელოვნების“ სახელმძღვანელოდან.

იმისათვის, რომ პრაქტიკული დავალებები შეასრულო, შენ, როგორც მხატვარს, დაგჭირდება დიდი შემოქმედებითი ფანტაზია, მახვილგონიე-რება და სითამამეც კი!



1

მშობლიური ხელოვნების სათავეებთან

სამშობლოს გაცნობა მშობლიური ხელოვნების სათავეების შესწავლით იწყება.

იმაში, თუ როგორ აგებენ ადამიანები თავიანთ საცხოვრებლებს, იწყობენ ყოფას, ილამაზებენ საკუთარ თავსა და სამოსს, ვლინდება ადამიანის წარმოდგენა სამყაროზე, მშვენიერებაზე.

ხელოვნება ადამიანის სულის, ხასიათისა და ჭკუა-გონების გამოხატულებაა.



სივრცის გამოსახვა ნახატებზე. პერსპექტივა

მრავალფეროვანია ჩვენი სამშობლოს ბუნება: ცადატყორცნილი, მაღალი მთები, უკიდეგანო დაბლობები, მწვანე გორაკები, მოვერცხლისფრო მდინარეები, ლურჯი ზღვა...

ადამიანისთვის ყველაზე ლამაზი ბუნება, ჩვეულებრივ, იქაა, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა.

გაეცანი


დააკვირდი მშობლიური ბუნების ფერთა პალიტრას. ფერთა სიმრავლე პეიზაჟებზე მხატვრის გამონაგონი კი არა, რეალობის ასახვაა.



- როგორი რიტმი შეიმჩნევა ნახატებზე?
- რით განსხვავდება შორეული მთების ფერი ახლოს მდებარე მთების ფერისაგან?



- რატომ მოჩანს მთაგრეხილი უფრო პატარა, ვიდრე კლდეები?



პერსპექტივა. პეიზაჟები, რომლებზეც ჩვენი სამშობლოს ბუნებაა გამოსახული, ძალზე მრავალფეროვანია. იმისათვის, რომ გავიგოთ, რა გზით იქნა მიღწეული ნახატებზე სინამდვილის ზუსტად ასახვა, უნდა ვეცადოთ გავერკვიოთ, როგორ იცვლება ჩვენს თვალში იმ საგნების ფორმები და ზომები, რომლებსაც ვხედავთ. მაგალითად, ის ხები ან ადამიანები, რომლებიც ჩვენგან შორსაა, უფრო მცირე ზომის გვეჩენება, ვიდრე ჩვენთან ახლოს მყოფები, თუმცა ვიცით, რომ სინამდვილეში ისინი ერთი ზომის არიან. ამ მოვლენას მხატვრებიც ითვალისწინებენ. მაყურებლისაგან დაშორების მანძილის შესაბამისად ერთი და იმავე ზომის ობიექტები თითქოს პატარავდება. ეს არის **პერსპექტივის ძირითადი კანონი**.

ჰორიზონტის ხაზი (წარმოსახვითი ჰორიზონტალური ხაზი) ყოველთვის დამკვირვებლის თვალის დონეზე მდებარეობს. ზღვის ნაპირას ეს არის საზღვარი ცასა და წყალს შორის, სტეპში კი – მიწასა და ცას შორის. თუ ადამიანი მაღლობზე ადის, ჰორიზონტის ხაზი მაღლა იწევს, დაშვებისას ჰორიზონტის ხაზიც დაბლა ეშვება. ნახატზე მუშაობის დაწყებისას აუცილებლად უნდა განისაზღვროს ჰორიზონტის ხაზის მდებარეობა.

გაეცანი

ქ. ხანლაროვის „პეიზაჟში“ ჰორიზონტის ხაზი მაყურებლის **თვალის დონეზეა**. იგი ნახატის შუაში გადის და გამოსახულებას თითქოს ორ ნაწილად – მთებად და დაბლობად ყოფს.


მთებისკენ მიმავალი გზის ორივე გზისპირი, მაყურებლისგან დაშორების კვალდაკვალ, თანდათან უახლოვდება ერთმანეთს და ჰორიზონტის ხაზზე თითქოს ერთ წერტილში ერთდება. ამას **თავშეყრის წერტილი ეწოდება**.



ქამილ ხანლაროვი. პეიზაჟი

პერსპექტივის სქემა ქ. ხანლაროვის ნახატზე „პეიზაჟი“

ჰორიზონტის ხაზი თვალის დონეზე მდებარეობს.
ჰორიზონტის ხაზი თვალის დონეზე მდებარეობს.



ა. მამედოვის ნაწარმოებში „მდუმარება მტკვარზე“ ცა და დედამიწა ჰქონის საზოგადოების ერთობლივობის ერთმანეთს. პეიზაჟზე ჰქონის საზოგადოების მიერ ნაწილზე გაცილებით დაბლაა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხატვარი სადღაც მაღლობიდან დასცემოდა ბუნების ამ პეიზაჟს.



აიუბ მამედოვი. „მდუმარება მტკვარზე“




ჰქონის საზოგადოების დაბლა მდებარეობს.

მ. ორუჯოვის ნახატზე „კასპიის სადარაჯოზე“ ჰქონის საზოგადოების საზოგადოები, პიროვნეულობის სისტემის უფრო მაღლაა. ნავთობის ქვებისა და ხომალდების მქრქალი სილუეტები თითქოს ფერმკრთალდება, ზღვის ცივ კოლორიტში უჩინარდება. თოლიერი შეფერილობა და ფორმა მკვეთრადაა გამოსახული, რადგან ისინი უფრო ახლოა მხატვართან. რკინის მილების თბილი შეფერილობა აშკარად მიგვანიშნებს მზიანი დღის დასაწყისზე.




მაგომედ ორუჯოვი „კასპიის სადარაჯოზე“



ჰქონის საზოგადოების დაბლა მაღლაა.

ჰეროვანი პერსპექტივა. ობიექტები, რომლებიც დამკვირვებლისგან დაშორებულია, მანძილის ზრდის შესაბამისად არა მარტო ზომებში მცირდება, არამედ გამოკვეთილ კონტურებსა და ფერთა სიმკვეთრესაც კარგავს, უფრო მქრქალი და ბუნდოვანი ხდება. ეს ჰეროვანი გარემოს ზემოქმედების შედეგია. ფერთა და ფორმათა ცვალებადობის გადმოცემას ახლო და შორს



მდებარე საგნებს (ხედებს) შორის **ჰეროვანი პერსპექტივა** ეწოდება. ეს არა მარტო ჰეროვან გარემოზე, არამედ წელიწადის დროზე, სინათლის წყაროსა და დღის მონაკვეთზეცაა დამოკიდებული.



„ბინდი მთებში“.

ფოტო

მარალ რაჭმანზადე
„საყვარელი არაქსი“

დაიმახსოვრე

პერსპექტივა (ფრანგული სიტყვა) – საგნების ზომების, ფორმების, შუქ-ჩრდილების მოჩვენებითი ცვალებადობა, გამოწვეული დამკვირვებლისგან მათი მეტ-ნაკლები დაშორებით.

ჰორიზონტის ხაზი – წარმოსახვითი სწორი ხაზი, რომელიც პირობითად მაყურებლის თვალის დონეზე მდებარეობს.

თავშეყრის წერტილი – წერტილი, სადაც ჰორიზონტისკენ მიმავალი ჰარალელური ხაზები ერთდება. იგი ჰორიზონტის ხაზზე, მაყურებლის თვალის დონეზე მდებარეობს.

ჰეროვანი პერსპექტივა – ფორმებისა და ფერთა ცვალებადობა ახლო და შორ ობიექტებს (ახლო და შორ ხედებს) შორის.



- რა არის თავშეყრის წერტილი?
- როგორ იცვლება ფერების სიმკვეთრე ჰორიზონტან მიახლოების შესაბამისად? რატომ?

ფერადი ფანქრები, ჰასტელის ცარცები, გუაში, აკვარელი


დავალება

- დახატე მშობლიური ბუნების პეიზაჟი. მუშაობის დასაწყისში აუცილებლად განსაზღვრე ჰორიზონტის ხაზის დონე. გახსოვდეს, რომ ჰეროვანი პერსპექტივის გათვალისწინებით ხეები, რომლებიც შორსაა, მკაფიოდ არ ჩანს, ამიტომ ისინი ღია და ცივი ფერებით გამოსახე.

2 ჩვენი მიწის ნოქათი

ნატიურმორტი: შუქ-ჩრდილის ცნება

მშობლიური მიწის დოვლათი, მისი ამოუწურავი სიმდიდრე შეთხვევით როდი იწვევს ყოველი ჩვენგანის ალფროთოვანებასა და სიამაყეს. მისი ძლიერის ფორმები და ფერები უსაზღვროდ მრავალფეროვანია. წელიწადის ყოველ სეზონს ჩვენს ნაყოფიერ მიწაზე თავისი მოსავალი მოაქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე უხვმოსავლიანი პერიოდი ზაფხული და შემოდგომაა. მიაქციე ყურადღება ხილის ფორმებისა და ფერების მრავალგვარობას, რომელიც მხატვარმა ტილოზე გამოსახა.



თოლრულ ნარიმანბეკოვი
ნატიურმორტი



- როგორ გადმოსცა მხატვარმა ფერის მეშვეობით ნაყოფთა ფორმების, მათი ზედაპირისა და შეფერილობის სილამაზე?
- რატომაა ნაყოფთა გამოსახულებებში ერთი და იგივე ფერი სხვადასხვანაირი?


ფერწერაში ძირითადი გამომსახველობითი საშუალებებია ფერი და შუქ-ჩრდილი. მათი მეშვეობით მხატვარი განწყობის შექმნასა და სინამდვილის მაქსიმალურად ზუსტად გამოსახვას ახერხებს.

გარემომცველი საგნების დანახვა ჩვენ მხოლოდ სინათლის წყაროს არსებობის შემთხვევაში შეგვიძლია. სინათლის ბუნებრივი წყაროები მზე და მთვარეა, ხელოვნური კი – ელექტრონათურები, სანთელი ან კოცონი. თუ ყურადღებით დააკვირდები, მაგალითად, რაიმე ხილს, შენიშვნავ, რომ მის ზედაპირზე გავრცელებისას სინათლე ელფერს იცვლის უფრო ღიადან უფრო მუქამდე. იმისათვის, რომ ამ ელფერების გამოსახვა ისწავლო, შუქ-ჩრდილის ცნება უნდა აითვისო.

შუქ-ჩრდილი არის სინათლის გადანაწილება საგნის ზედაპირზე. შუქ-ჩრდილი დამოკიდებულია საგნის ფორმასა და ფერზე, ზედაპირსა (გლუვია თუ ხორკულიანი) და სინათლის წყაროდან დაშორებასა და მიმართულებაზე.

გაეცანი

საგნის ზედაპირზე შუქის დაცემისას მისი ერთი ნაწილი განათებულია (შუქი) მეორე კი ჩრდილში რჩება (საკუთარი ჩრდილი). შუქი და ჩრდილი საგნებისა და სივრცეში მათი მდებარეობის გამოსახვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. მოცულობითი ფორმა შუქ-ჩრდილის მეშვეობით გადმოიცემა. ნახატის შექმნისას მნიშვნელოვანია სინათლის წყაროს მდებარეობის გათვალისწინება.



ათინათი – ყველაზე ნათელი ადგილი საგანზე, რომელსაც გლუვი, პრიალა ზედაპირი აქვს.

შუქი – საგნის განათებული ზედაპირი.

ნახევარჩრდილი – შუქიდან ჩრდილში თანდათანობითი გადასვლა.

საკუთარი ჩრდილი – საგნის გაუნათებელი ზედაპირი.

დაცემული ჩრდილი – ჩრდილი, რომელსაც საგანი ქმნის სხვა ზედაპირზე. მისი ფორმა სინათლის წყაროს მდებარეობაზეა დამოკიდებული.

რეცლეპსი – საგნის ჩრდილიან მხარეს სხვა განათებული საგნიდან შუქის ანარეკლი.


ჰორიზონტის მდებარეობის მიხედვით საგნებს შეიძლება ვუყუროთ ზემოდან ან ქვემოდან. რადგან ჰორიზონტის ხაზი ყოველთვის მხატვრის თვალის დონეზე მდებარეობს, ნატიურმორტის ხატვისას ძალზე მნიშვნელოვანია ჰორიზონტის ამ ხაზის სწორად განსაზღვრა. ადგილს, სადაც მხატვრის თვალები მდებარეობს, **ხედვის წერტილი** ეწოდება. ჰორიზონტის სამი ძირითადი დონე



ხედვის წერტილი ჰორიზონტის დონეზე დაბლა მდებარეობს. საგნების ჰორიზონტის ხაზზე მაღლა განთავსებისას ჩვენ მათ თითქოს ქვემოდან ვუყურებთ.



ხედვის წერტილი ჰორიზონტის დონეზე მდებარეობს. საგნები ჰორიზონტის ხაზზეა და ჩვენ მათ პირდაპირ ვუყურებთ.



ხედვის წერტილი ჰორიზონტის დონეზე მაღლა მდებარეობს. როცა საგნები ჰორიზონტის ხაზზე დაბლაა, ჩვენ მათ თითქოს ზემოდან დავყურებთ.

ოსტატის რჩევები

აკვარელის სალებავებით მუშაობის ხერხები


სველ ქალალდზე აკვარელით ერთ ფენად ხატვა.
წყლის თანდათანობით დამატებით შეიძლება
ფერის გამკრთალება კაშკაშადან ღიამდე. ზედ-
მეტ წყალს გაწურული ფუნჯის ბოლოთი აშო-
რებენ.



ლესირება – სალებავის გამშრალ ფენაზე აკვარე-
ლით მრავალფენიანი თანამიმდევრობითი მუშა-
ობა. ფერის გაბაცება კაშკაშადან მკრთალამ-
დე, ან ფერის გამკვეთრება ბაციდან კაშკა-
შამდე.



ლესირება. ნატურიდან პომიდვრის აკვარელით გამოსახვის თანამიმდევრობა
შეფერადების მეთოდით – გამშრალი ზედაპირის მრავალფენიანი დაფარვით.



დაიმახსოვრე

ათინათი – ყველაზე ნათელი ადგილი საგანზე, რომელსაც გლუვი, პრიალა ზედაპირი
აქვს.

რეფლექსი (ლათინური სიტყვა) – საგნის ჩრდილიან მხარეს სხვა განათებული საგ-
ნიდან შუქის ანარეკლი.


პროპორცია – (ლათინური სიტყვა) – საგნების ცალკეული ნაწილებისა და, ზოგადად,
საგნების ზომების თანაფარდობა.

ლესირება (გერმანული სიტყვა) – გამშრალ ფენაზე სალებავის განმეორებით დატანა.

აკვარელით ნატიურმორტზე მუშაობის თანამიმდევრობა


1. ნახატის აგება.

ააგე ნახატი. უბრალო ფანქრით მკრთალი ხაზებით. შემდეგ წამალე ზედმეტი ხაზები. მოიფიქრე კომპოზიცია, ანუ საგნების მთელი ჯგუფის განლაგება ფურცელზე. დააზუსტე თითოეული საგნის დეტალები და პროპორციები. მონიშნე შუქისა და ჩრდილის საზღვრები.



2. ფერით მუშაობა.

ჯერ საგნებისა და ფონის ძირითადი ფერი დაიტანე, შუქსა და ჩრდილში ტონალური ცვლილებების გათვალისწინებით. რადგან აკვარელში თეთრი ფერი არ არსებობს, ყველაზე ღია ტონი ფურცლის თეთრი ფერია. გამოიყენე ლესირების ხერხი. გახსოვდეს: აკვარელით ფერწერას არ უყვარს შესწორება.




3. ფერით მუშაობის გაგრძელება.

განაგრძე საღებავის გამშრალ ფენაზე ახალი ფენის დატანა. თანდათან ფერი სასურველ ტონს მიიღებს. იმისათვის, რომ სასურველი ელფერი მიიღო, გამოიყენე პალიტრა. გახსოვდეს, რომ ათინათი ჭურჭელსა და ვაშლებზე შეუღებავი უნდა დატოვო. უფრო გაამუქე საგნების საკუთარი და დაცემული ჩრდილები.



4. მუშაობის დასრულება.

დაამუშავე დეტალები. აკვარელით ნახატი ყოველთვის ცოცხლად და ხალისიანად გამოიყურება, რადგან აკვარელის საღებავები ყველაზე მუქ ადგილებშიც კი გამჭვირვალეა. ამ ეტაპისთვის ძირითადი ამოცანაა, გამოყო ნახატზე მთავარი და მიაღწიო კომპოზიციის მთლიანობას.



აკვარელი, A4 ფორმატის აკვარელის ქაღალდი

დავალება

- შექმნი და დახატე ნატურიდან ნატიურმორტი შემოდგომის ნაყოფებით. კარგად მოიფიქრე კომპოზიცია და ქაღალდის ფურცელზე საგნები სწორად განალაგე. შეეცადე, ნაყოფების მოცულობა შუქ-ჩრდილის მეშვეობით გადმოსცე.

3

ადამიანი აშენებს, ამკობს, გამოსახავს

მოგზაურობა ისტორიაში

ადამიანი აშენებს. უძველეს ხანაშიც კი, როდესაც ადამიანი ჯერ მხოლოდ იწყებდა საკუთარი საცხოვრებლის ასაგებად ქვისა და ხის მასალების გამოყენებას, იგი უკვე ხელმარჯვე ოსტატი იყო. გამოყენებული სამშენებლო მასალა იმ მხარის ბუნებაზე იყო დამოკიდებული, რომელშიც ადამიანი ცხოვრობდა. ტყიან ადგილებში მშენებლობისათვის ძირითადად ხეს იყენებდნენ, მთებში კი – ქვას.

დღესაც, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, ქალაქსა თუ სოფელში, იგი აშენებს, ანუობს, ქმნის, ოღონდ ყოველი ერი ამას თავისებურად აკეთებს.



იცი თუ არა რომ?

უპირველეს ყოვლისა ადამიანმა ცეცხლის დასანთები ადგილი მოაწყო.

ადამიანი ამკობს. უძველესი დროიდან მოყოლებული, ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ, გაელამაზებინათ თავი. ამას გართობის მიზნით როდი აკეთებდნენ. სამკაულები ხომ ის ნიშნებია, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთის უკეთ შეცნობაში ეხმარება.

მორთულობის მიხედვით ადამიანებს შეეძლოთ იმის გაგება, თუ რას წარმოადგენდა სხვა ადამიანი; შეეძლოთ, განესაზღვრათ მისი მიზნები, მაგალითად, სამშვიდობოდ იყო იგი განწყობილი თუ საომრად.

ადამიანი დღესაც რთავს და ამკობს თავის საცხოვრებელს, თავის ნაკეთობებს, მათ შორის საყიფაცხოვრებო საგნებსაც. როგორც ხალხები ისე მათი სამკაულებიც განსხვავებულია.



ადამიანი გამოსახავს. უძველესი ხანის მონადირე შესანიშნავად გამოსახავდა ცხოველებს. მისი სამუშაო ინსტრუმენტები ქვისა და თიხის ნატეხები იყო. გამოქვაბულების კედლებზე ცხოველების ფიგურების გამოსახვისას უძველესი ადამიანები უკეთ შეიცნობდნენ მათ ქცევებსა და ჩვევებს, ეს კი მათთვის წარმატებული ნადირობის საწინდარი იყო. გამოსახულებების მეშვეობით ადამიანი ასევე შეიცნობდა საკუთარ თავს, საკუთარ გრძნობებს, სამყაროს მიმართ თავის დამოკიდებულებას.

ადამიანები ცხოვრობენ ტყეებში, მთებში, უდაბნოებში, ზღვის ნისლიან კუნძულებზე. სწორედ ამიტომ არის ერთმანეთისგან განსხვავებული მათი წაგებობები, ტანისამოსი და სამკაული. მაგალითად, ხომ შეუძლებელია თბილი ქურქის ტარება უდაბნოში, ან თხელი ტანისამოსისა – ძლიერ ყინვაში.



გობუსტანის კლდის
მხატვრობა (ფრაგმენტი)

სამყარო ძალიან მრავალსახოვანია. ერები, ისევე როგორც ადამიანები, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და ამავე დროს ძალიან განსხვავდებიან კიდეც.



- რა გამოსახულებები გვხვდება ყველაზე ხშირად კლდის მხატვრობაში?
- რით განსხვავდება უძველესი დროის ადამიანების წახატები თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებისაგან?

ვატმანის ქალალდი, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, გუაში

დავალება

- მეგობრებთან ერთად შექმნი პანო, რომელიც ძველი დროის ადამიანის ცხოვრებას ასახავს.



პანო – მხატვრის მიერ კედელზე დახატული ან აწყობილი დიდი ზომის დეკორატიული ნამუშევარი, რომელიც წაერწი ბორდიურით ან ჩარჩოთია შემოფარგლული. ჩარჩო კომპოზიციას დასრულებულს ხდის.



ხალხური ხუროთმოძღვრება: კონსტრუქცია, სახე

უძველესი ადამიანების ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თანამედროვე ცხოვრების წესისაგან. მესაქონლები, რომლებიც მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, დასაშლელ-გადასატან საცხოვრებლებს – **იურთებს** – ანიჭებდნენ უპირატესობას. მიწათმოქმედები კი სხვადასხვა სახის ქოხებში ცხოვრობდნენ.

გაეცანი

იურთა (აზერბაიჯანულად „ალაჩიგი“) – მრგვალი კონსტრუქცია, რომელიც ერთიმეორებზე გადადებული ლატნებისაგან მზადდებოდა და ქეჩით იყო დაფარული. იურთის შიგნით განთავსებული იყო ყველაფერი, რასაც ყოფა-ცხოვრებაში იყენებდნენ: სკვირი, საწოლი, ჯარა, გუდა (ყველისათვის), თუნგი, სადლვებელი, დოქები... იურთის მთელი სიმძიმე საყრდენ ბოძს აწვებოდა. იურთის შესასვლელში ხალიჩა ან ქეჩა იყო ჩამოკიდებული.


წიმიან ამინდში
საკვამურს ქეჩის
ნაჭერს
აფარებდნენ



- იურთის მრგვალი კონსტრუქცია:
კედლებისა და ჭერის
მსუბუქი ჯვარე-
დინი კარკასი
ლატნების
მეშვეობით
იქმნება.



კერია იურთის
ცენტრში იყო
მოწყობილი.



იურთის სახურავსა და
კედლებზე ქეჩა
იყო გადაჭიმული.

იურთის საყრდენი
ბოძი, რომელსაც
მთელი კონსტრუქცია
უკავია.

კარის
ნაცვლად
შესასვლელში
ხალიჩა ან ქეჩა იყო
ჩამოფარებული.


ცხვრის ტყავის
ტომარა (გუდა),
რომელშიც ყველს
ინახავდნენ.

კარაქის სადლვებელი –
თიხის დიდი ქოთანი.
მასში რძეს დღვებდნენ
და კარაქს ამზადებდნენ.

სოფელი მხოლოდ საცხოვრებელი ქოხებისგან არ შედგებოდა. სოფლის ყველა სახლთან, ეზოში, ყოველდღიური საჭიროებისათვის გამოსაყენებელი სხვადასხვა ნაგებობა იყო: მარცვლეულის შესანახი ბეღელი, ჭა, თონე, საბძელი, თავლა, საქათმე. ეს ნაგებობები მარტივი ფორმისა იყო. ეზოს ჭიშკარი ქუჩის მხარეს იღებოდა. მას ხშირად ნალით ამშვენებდნენ, რომელიც ხალხური წარმოდგენით, ბოროტი ძალებისგან იცავდა მათ და იღბალი და ბედნიერება მოჰქონდა. სოფლის შუაგულში, ჩვეულებრივ, მომცრო მოედანი იყო, სადაც სოფლები მნიშვნელოვანი შემთხვევების, მაგალითად, დღესასწაულების დროს იკრიბებოდნენ. როგორც ჩვენი ბუნება არის მრავალფეროვანი, ისე განსხვავებული იყო ნაგებობებიც.

დაწნული ქოხის (აზერბაიჯანულად – „ჩოვუსტანი“) კედლებს ლერწმისგან წნავდნენ, შემდეგ თიხით ლესავდნენ, გადასახურად კი ჩალას იყენებდნენ.

სახურავის წვერს ტყავის ნაჭერს აფარებდნენ, რომელსაც თოკებზე ჩამოკიდებული ქვებით ამაგრებდნენ. ქვების სიმძიმე ქარს ტყავის მოგლეჯის საშუალებას არ აძლევდა. ტყავი ჩალის სახურავს წვიმისგან იცავდა.



ქვის ქოხი (აზერბაიჯანულად – „კომა“ ან „დახმა“) ქვით ან გამოუწვევი აგურით (ალიზით) შენდებოდა. ასეთ ქოხს მინის სახურავი ჰქონდა, შუაში საკვამურით. იქ, სადაც ნოტიო ჰავა იყო, სახლებს საყრდენებზე (ხიმინჯებზე) დგამდნენ, რომლებიც მინაში იყო ჩარჭობილი, რათა ნაგებობა ნესტისგან დაეცვა.




- როგორი ფორმა ჰქონდა საცხოვრებლებს? რა მასალისგანაა შესაძლებელი მათი აგება?
- რა საერთო აქვს იურთასა და ქოხს?
- რაზეა დამოკიდებული სახლის სიმყარე და გამძლეობა?

ფერადი ფანქრები, აკვარელი, გუაში, პლასტილინი, ფერადი ქალალდი, წებო, ყუთები, პატარა ჯოხები, ტყავის ნაჭრები, პატარა ქვები, ასანთის კოლოფები და ღერები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები

დავალება

- გააკეთე იურთის ან ქოხის მაკეტი. იმისათვის, რომ სოფლის სახე მისცე, შეგიძლია ეზოში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა მოაწყო: მარცვლეულის შესანახი ბეღელი, ჭა, თავლა, თონე, საქათმე, ასევე მოათავსო რამდენიმე ხე და პლასტილინისგან გამოძერნილი ადამიანის ფიგურა. მოიფიქრე, როგორ დაატიო სოფელი ჩვეულებრივ მაგიდაზე. ეს სამუშაო შეიძლება შესრულდეს ერთობლივად, მთელი კლასის მიერ.



5 ჩვენი მიწა-ცყლის აღამიანები

ადამიანის გამოსახულება: პორტრეტი და ყოფა

ყოველ ერს თავისი წარმოდგენა აქვს ადამიანის სილამაზეზე. ხალხურ შემოქმედებაში ეს მამაკაცისა და ქალის სახეებშია ხორციშესხმული. ქალში სიცოცხლის საწყისს, მთელი ბუნებისა და სამყაროს დედას ხედავდნენ. მისი აღნაგობისა და მოძრაობების მოხდენილობასა და დიდებულებაში იკვეთება უძველესი დედა-პირველსაწყისის სახე, რომელსაც შორეული წინაპრები ეთაყვანებოდნენ. მას მიიჩნევდნენ ქომაგად, დიასახლისად, აფასებდნენ მის ლირსებას, სათნოებასა და სითბოს. ქალის სილამაზეს უკავშირდებოდა წარმოდგენა ბედნიერებაზე.

ადამიანებს სწამდათ, რომ სილამაზე კეთილი და დამცველი ძალაა. ამიტომ უძველესი დროიდან ქალები ცდილობდნენ, ლამაზად ჩაეცვათ და სამკაულები ეტარებინათ.

- **დაათვალიერე ქალების პორტრეტები.** ისინი სიმშვიდეს, სიკეთეს, სულიერ სითბოს განასახიერებენ. მათი კაშკაშა ფერის თავსაფრები აზერბაიჯანელი ქალის მორთულობის დამაგვირგვინებელი ელემენტია.




ოქტაი სადიხზადე. მეჩაიები რაგიმოვა და ბაირამოვა

გლეხი ქალის ყოველდღიური ცხოვრება საზრუნავითაა სავსე: მუშაობა მინდორში, ბოსტანში, სახლში. მისი სადღესასწაულო სამოსი კი ნამდვილი საოცრებაა. ტანისამოსს იგი თავად ქმნიდა და მასში ნამდვილ მხატვრულ ნიჭს აქსოვდა.

მამაკაცის სახე განუყოფელია მისი საქმიანობისგან. ხალხურ შემოქმედებაში ეს მესაქონლის ან მიწათმოქმედის სახეა. მასში შერწყმულია წარმოდგენა ძალასა და სიკეთეზე, უნარზე, მოუაროს საკუთარ მიწას, საკუთარ მეურნეობას და დაიცვას იგი.

ადამიანის სახე მისი სულისა და ხასიათის სარკეა. შეხედო ადამიანს სახეში – ეს იგივეა, რომ მის სულში ჩაიხედო.



მიქაილ აბდულაევი.
გოგონები ბრინჯაის
მოსავალთან.

ელმირა შახტახტინსკაია.
უდანაკარგოდ გავზრდი!

მარალ რაჭმანზადე.
აზერბაიჯანელი ქალები



- მოახერხეს თუ არა მხატვრებმა არა მარტო გარეგნული, არამედ სულიერი მსგავსების მიღწევა?
- როგორ შეიძლება განვსაზღვროთ ნახატებზე გამოსახული ადამიანების პროფესია?

ფერადი ფანქრები, პასტელის ცარცები, გუაში

დავალება

- შექმნი პორტრეტი – გარეგნული იერისა და ტანისამოსის მიხედვით გამოსახე კეთილი, მზრუნველი ადამიანი. შეეცადე, კარგად აჩვენო მისი სახის ნაკვთები. შეგიძლია, მოცემული ნიმუშები გამოიყენო.



6

ხალხური ცეს-ჩვეულებები

სახალხო დღესასწაულები

აზერბაიჯანში ზეიმით აცილებდნენ ზამთარს და ხვდებოდნენ გაზაფხულს, ზეიმით აღნიშნავდნენ სამინათმოქმედო სამუშაოების დაწყებასა და დასრულებას. დღესასწაულები თავისთავად არ ჩნდებოდა: თითოეულ მათგანს თავისი საწყისი და მიზეზი, თავისი დრო ჰქონდა. ჩვენი ქვეყნის ერთერთი უძველესი სამინათმოქმედო დღესასწაულია ხვნის დაწყების ზეიმი, რომელიც სეზონურ წეს-ჩვეულებებს მიეკუთვნება.

სეზონური წეს-ჩვეულებები. მინათმოქმედის ცხოვრება ძირითადად წელიწადის დროების ცვალებადობაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ, შემდგომი თესვისთვის მიწის მომზადებამდე, ხვნის დაწყების დღესასწაულს ატარებდნენ. პირველ რიგში ყოველ მხვნელსა და მეხრეს ხონჩას (ლანგარზე დალაგებულ ძლვენს – თავსაფარს, თეთრ პერანგს, წინდებს, ტკბილეულსა და ბოხჩაში გამოკრულ შემწვარ ხორბალს) მიართმევდნენ.

იმ ადგილზე, სადაც ხვნის დაწყებას აპირებდნენ, ქვაბებს დგამდნენ და კოცონს ანთებდნენ. სამი დღის განმავლობაში იქ ამზადებდნენ ფლავს და ყველა მსურველს იქვე უმასპინძლდებოდნენ. მოხუცებსა და ავადმყოფებს თავ-თავიანთ წილს სახლში მიართმევდნენ. ადამიანები საწესჩვეულებო სიმღერებს მღეროდნენ, იალის ცეკვავდნენ, ერთმანეთს კოცონზე გადახტომაში ეჯიბრებოდნენ.

იალის ასე ცეკვავდნენ: ხელიხელგადახვეული ადამიანები კოცონის გარშემო ფერხულს ასრულებდნენ, ცეკვა-ცეკვით წრეზე მოძრაობდნენ და გუნდურად მღეროდნენ – თბილ გაზაფხულს, უხვ მოსავალსა და ბარაქას ითხოვდნენ.





ასაფ ჯაფაროვი. ჩემი აზერბაიჯანი

ეს დღესასწაული სიმღერა-მოწოდებების თანხლებით გვიან ღამემდე გრძელდებოდა. დილაადრიან კი მინდორში მიწათმოქმედები გამოდიოდნენ გუთნებით და იწყებოდა ხვნა.

კარგად მშრომელმა ხალხმა გართობაც კარგი იცოდა.



ალექბერ რზაკულიევი. ხარის დაჭედვა.

¹ წეს-ჩვეულება – ტრადიციული დღესასწაული, რომელიც გარკვეული წესების მიხედვით ტარდება.



² მეხრე – ხარების გამრეკი.

ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება, მაგრამ უცვლელი რჩება დღესასწაულის სიხარული, მორთულობა, საჩუქრები, გამასპინძლება, სიმღერები, ცეკვები და, რა თქმა უნდა, ადამიანური ერთობის განცდა. სწორედ ეს ტრადიციები ანიჭებს დღესასწაულს განუმეორებლობასა და მომხიბლელობას. ძირითადი წეს-ჩვეულებები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, დღესაც შენარჩუნებულია.

A1 ფორმატის ქაღალდის ფურცელი (ვატმანი), ფერადი ფანქრები, პასტელის ფარცები, გუაში


დავალება

- შექმენი პანო „სოფლის დღესასწაული“. მოიფიქრე, წელიწადის რომელ დროს გამოსახავ. გადმოეცი დღესასწაულის სასიხარულო განწყობა. მოქმედების ადგილი სოფლის მოედანიც შეიძლება იყოს. ქოხები ისე განათავსე, რომ ამ მოედნისთვისაც დარჩეს ადგილი. არ დაგავიწყდეს ადამიანების საზეიმო ტანისამოსით დახატვა.
- შეგიძლია სამუშაოს წარმოადგინებელი აპლიკაციის ტექნიკით შეასრულო. პირველ რიგში პეიზაჟი და სახლები დახატე, ადამიანების ფიგურები ცალკე დაამზადე, შემდეგ კი ფურცელზე დააწებე. წინასწარ მოიფიქრე, როგორ განათავსო ისინი იმგვარად, რომ კომპოზიცია შთამბეჭდავად გამოიყურებოდეს. შეგიძლია ისარგებლო ნიმუშებით.




შეამოწვევ ჟანი თავი

1. განსაზღვრე ნახატებზე თავშეყრის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი. რა განსხვავებაა ჰორიზონტის ხაზის დონეებს შორის? ახსენი მსგავსება ახლოს მდებარე და შორს მდებარე ობიექტებს შორის.



2. გვიამბე შუქ-ჩრდილის მნიშვნელობის შესახებ მხატვრების ნატიურმორტებში. განსაზღვრე დაცემული შუქის მიმართულება, ჰორიზონტის ხაზები, ხედვის წერტილები.



რამიზ აბასოვი. შემოდგომის ძლვენი



პიჯრან ალიოლლუ. ლაპიჯის სპილენძის ჭურჭელი

ზოჰრაბ ჯაბაროვი. სააგარაკო სეზონი

3. რის თქმა სურდა უძველეს ადამიანს გამოსახულებებისა და სამკაულების საშუალებით?




4. მოცემული თანამიმდევრობის გათვალისწინებით მიუთითე საცხოვრებლის შესაბამისი ტიპები. გვიამბე, რა მასალისგანაა ისინი აშენებული.

დაწყული ქოხი

იურთი

ქვით ნაგები ქოხი




5. ჩაცმულობის მიხედვით განსაზღვრე ადამიანის პროფესია ან საქმიანობა.



2

უძველესი ძეგლების მხარე

ძეგლი შეიძლება ეწოდოს ცალკეულ ფიგურას, რომელიმე ნაგებობას და მთელ ქალაქსაც კი. ყოველ ძეგლს თავისი განუმეორებელი სახე, თავისი ხასიათი და ისტორია აქვს. თითოეულ ქვის ქანდაკებაში ერის განვითარების ისტორია, მისი მეხსიერებაა აღბეჭდილი.



ქვის ფიგურები – ჩვენი ისტორიის მესაიერება


სიმბოლოები ქვაზე

ქვა მარადიულობის სიმბოლოა. შემთხვევითი არაა, რომ პირველი გამოსახულებები ჩვენმა წინაპრებმა სწორედ ქვებსა და კლდეებზე ამოკვეთეს. გობუსტანის კლდის მხატვრობა, რომელიც პირველყოფილი ადამიანების მიერ გამოქვაბულის კედლებსა და კლდეებზეა ამოკვეთილი, ნამდვილი საოცრებაა. როდესაც ამ გამოსახულებებს შორიდან ათვალიერებ, ისინი თითქოს შენ თვალწინი ცოცხლდებიან: მონადირეთა სიმამაცე და ნადირთა სიმარდე პირველყოფილი ადამიანის ნიჭიერებაზე, მის არაჩვეულებრივ გამჭრიახობასა და დაკვირვების უნარზე მეტყველებს.

ამოკანვრა, გამოკვეთა

კლდეების გლუვ ზედაპირზე ამოკანრული უძველესი გამოსახულებები.

გობუსტანის
კლდის მხატვრობა



დროთა განმავლობაში ადამიანმა აითვისა ქვისგან გამოკვეთის და ქვაზე კვეთის ხელოვნება და ქვის ზედაპირზე რელიეფურ მოხატულობასა და მოცულობით ფიგურებს ქმნიდა.

ქვისგან გამოკვეთისა და ქვაზე კვეთის ხელოვნება
მოხატულობის მრავალფეროვნება



ჩვენს წინაპრებს სწამდათ, რომ ქვა სიწმინდეა, მას თაყვანს სცემდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ქვის ფიგურები მათ ავი სულებისგან დაიცავდა.

უძველესი ადამიანი ყველაზე ხშირად ვერძს – ვაჟკაცობის და ძალის სიმბოლოს – გამოსახავდა. ასევე გამოსახავდა ცხენს, რომელიც სიმდიდრისა და გულადობის სიმბოლოდ ითვლებოდა. მართალია, ერთი და იმავე სახეობის ცხოველების გამოსახულებები მსგავსია, მაგრამ მათი მორთულობის ელემენტები სხვადასხვაგვარია.

გაეცანი

ქვის კერპი – მთლიანი ქვისგან გამოკვეთილი ადამიანის ფიგურა, რომელსაც ჩვენი წინაპრები თაყვანს სცემდნენ. სახისკენ აზიდული ხელები და უხეშად ნაკვეთი ცხვირი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს.



ხედი წინიდან ხედი უკნიდან
ქვის კერპი

ქვის ვერძის ფიგურაზე გამოსახული ხმალი და მშვილდი გმირობასა და სიმამაცეს განასახიერებს.



მცენარეთა რიტმული მოხატულობით შემკული ხალიჩა ვერძის ზურგს მოსასხამივით ამჰვენებს.



ქვის ცხენების ფიგურები ზოგადად ერთნაირად გამოიყურება, მაგრამ მათი მორთულობის ელემენტები განსხვავებულია.



ორნამენტული მოტივები ქანდაკებებზე, რომლებიც ხალხის რწმენასა და წეს-ჩვეულებებს მოწმობს, მრავლფეროვნებით გამოირჩევა. ამ ორნამენტების სილამაზე ისეთივე მარადიულია, როგორც თავად ქვა.



დაიმახსოვრე

რელიეფი (ლათინური სიტყვა) ნიშნავს ამობურცულობას. ეს არის სკულპტურის სახეობა – ბრტყელ ზედაპირზე ამობურცული გამოსახულება. მისი დათვალიერება მხოლოდ წინიდან არის შესაძლებელი.

ქანდაკება – ქვის სკულპტურა.



- რა ნიშნებით შეიძლება განვასხვავოთ ვერძისა და ცხენის ქანდაკებები?
- რით განსხვავდება ქვისგან გამოკვეთა ქვაზე კვეთისგან?

A4 ფორმატის ქაღალდი, პლასტილინი ან თიხა

დავალება

- გამოძერწე ცხოველის ფიგურა. ჯერ დახატე ესკიზი, შემდეგ შექმენი მისი რელიეფი – ამობურცული გამოსახულება ქაღალდზე. არ დაგავინაყდეს ფიგურის მორთვა სიმბოლოებით. შეგიძლია, მოცემული ნიმუშებით ისარგებლო.



1



2



3



4




8 მავზოლეუმები. აკლდამები

ფორმა, მოხატულობა და რიტმი არქიტექტურაში

უძველესი ნაგებობები, რომლებსაც **მავზოლეუმებს** ან **აკლდამებს** უწოდებენ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გვხვდება. ისინი არქიტექტურული ძეგლების შესანიშნავი ნიმუშებია. ამ ნაგებობებს პატივსაცემი ადამიანების ხსოვნის უკვდავსაყოფად აგებდნენ. მავზოლეუმების მოხატულობა (ორნამენტები) მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანის სამყაროსთან.

ჩვენი წინაპრები მიიჩნევდნენ, რომ ორნამენტს დამცავი ძალა გააჩნია. სამყაროს მრავალფეროვნება ორნამენტში სიმბოლოების – პირობითი ნიშნების – სახეს იღებს. მცენარეული ორნამენტები, გეომეტრიული ფიგურები, ტალღოვანი ხაზები, ვარსკვლავებისა და ასოების გამოსახულებები ნაგებობებზე ყველაზე ხშირად გამოყენებული ორნამენტების მოტივებს წარმოადგენდა. მართალია, მავზოლეუმები ძველებურ საცხოვრებლებს ჰქონდა, მაგრამ ზომები და მოხატულობის სიმდიდრე განასხვავებდა მათგან. მავზოლეუმები, ჩვეულებრივ, ოვალური ან მართკუთხა ფორმისა იყო.

დაათვალიერე, როგორაა ნაკვეთი მოხატულობა, რამდენად მრავალფეროვანია ნიჭიერი ოსტატების მიერ აგებული არქიტექტურული ძეგლების ფორმა და მათი დამამშვენებელი ორნამენტები.




გეომეტრიული
ორნამენტი, რომელიც
ამკობს მავზოლეუმს
(ფრაგმენტი)



მავზოლეუმი
გორი გუბადი.
მარალა

მავზოლეუმის მოხატულობის
ფრაგმენტი. ასოებისგან შედგენილი ორნამენტი. ასოები,
რომლებიც სხვადასხვა კუთხითაა დახრილი, ორნამენტად
იქცევა.

მავზოლეუმი
გუთლუ მუსა. აღდამი



მავზოლეუმი კარაბალლარი.
ნახიჩევანი




- რა მნიშვნელობა აქვს ნაგებობებზე გაკეთებულ ორნამენტებს?
- რა საერთო ნიშნები აქვს მავზოლეუმებს?

ფერადი ფანქრები, შავი ავტოკალამი, ფლომასტერები

დავალება

- დახატე სხვადასხვა ფორმის მავზოლეუმების სილუეტები. მორთე ისინი გეომეტრიული ფიგურებით, მცენარეთა მოხატულობით, ტალღოვანი ხაზებით, ასოებისა და ვარსკვლავების გამოსახულებებით.



*მავზოლეუმი (ლათინური სიტყვა) – მონუმენტი, სამარხი ნაგებობა.

მოგზაურობა ისტორიაში

ტაძრებს, რომლებსაც ქალაქებში, გორაკებსა და დაბლობებზე აგებდნენ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის ცხოვრებაში. იმ კუთხის მცხოვრებლები ტაძრებში საღვთო მსახურებაზე იკრიბებოდნენ, იქვე ისმენდნენ განცხადებებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ.

ეს ნაგებობები, რომლებიც წარსულისგან მემკვიდრეობით გვერგო, სხვადასხვა ფორმისა და სიდიდისაა.

გაეცანი

„იანარდალი“ ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი ბუნებრივი ძეგლია. იგი კასპიის ზღვის მახლობლად, აფშერონის მიწაზე, მდებარეობს. ეს მარადიული კელაპტარი ბუნების ნამდვილი საოცრებაა. ამინდის მიუხედავად, იგი დღედაღამ ჩაუქრობლად გიზგიზებს.



„იანარდალი“

ათეშგა – ცეცხლთაყვანისმცემლების ტაძარი – აფშერონში იმ დროიდან შემორჩა, როცა ადამიანები ბუნების ძალებს სცემდნენ თაყვანს. ცეცხლთაყვანისმცემლებს, რომლებიც ამ ტაძარში მოდიოდნენ, ბუნების ძალების ყოვლისშემძლეობისა სწამდათ და აქ საკულტო მსახურებას ეწეოდნენ. ათეშგა ტოლგვერდა ოთხკუთხედს წარმოადგენს. მას ყოველი მხრიდან აქვს შესასვლელი. ქვის თასებში მოგიზგიზე ჩირალდნები, რომლებიც ტაძრის სახურავის კუთხეებშია განლაგებული, მზის ჩასვლის შემდეგ მთელ მიდამოს ანათებს.



ხედი დღისით



ხედი ღამით

ტაძარი ათეშგა

კავკასიონის ქედის ძირში, შექის სოფელ გიშში, ალბანური ეკლესია მდებარეობს. იგი ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უძველესი ძეგლია.

ტაძრის კედლების ზემოთ აფრები და გუმბათის **ყელია**. ტაძარს ამშვენებს **გუმბათი**, რომელსაც ექვსწახნაგოვანი პირამიდისა და კონუსის ფორმა აქვს. სინათლე ნაგებობაში სარკმლებიდან შემოდის, რომლებიც ზემოთაა განლაგებული, ასე რომ, სინათლე თითქოს ციდან იღვრება.

ეკლესია სოფელ
გიშში.
შექი



ტაძრის
ფასადი



ხედი
უკნიდან



დაიმახსოვრე

ტაძარი – ადგილი რელიგიური რიტუალებისთვის.

გუმბათის ყელი – ტაძრის დამას-რულებელი, გუმბათქვეშა ნაწილი.

გუმბათი – ნახევარსფეროს ან კონუსის ფორმის სახურავი

თაღი – ნახევარწრიული გადახურვა.



- რისთვის აგებდნენ ტაძრებსა და ეკლესიებს?
- შენი ქალაქის (დაბის) რომელი ტაძრები და ეკლესიები იცი?

ფერადი ფანქრები, პასტელის ცარცები, გუაში

დავალება

- დახატე ძველებური ტაძარი და მისი მნახველები. ტაძარი შეიძლება იყოს მთაში, ბარში ან სოფელში.

10 უძველესი ხიდები


კონსტრუქცია, სიმეტრია, რიტმი

ჩვენი სამშობლოს წყალუხვი მდინარეების ნაპირებსა და მთის გზების რთულ გადასასვლელებზე გადებული ხიდების ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. ამ ხიდების ბურჯებს ბუნებრივ საფუძველზე – ნაპირებზე, კლდე-ებზე – აგებდნენ.

სხვადასხვანაირი ხიდები არსებობს: ხის, ქვის, დაკიდული, გასახსნელი და ა. შ. ყველაზე მყარი ხიდები ქვისგან იგებოდა. ხიდის აგება ძალზე რთული და შრომატევადი სამუშაოა.

ძველ დროში ხიდი სახელმწიფოს სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლებოდა. ჩვენს დრომდე მოლწეული ხიდები ნათელი მაგალითია იმისა, თუ რის შექმნა შეუძლია ადამიანს თავისი შრომით.


გაეცანი



ხის ხიდი




დაკიდული ხიდი



ქვის ხიდი

დააკვირდი. ხუდაფერინის ხიდების მშვენება მათი თაღოვანი მალებია. ხიდების ბურჯები მდინარის ქვებითაა აგებული, თაღოვანი მალები კი – აგურებით. თაღოვანი მალების რიტმული მიმდევრობა ხიდს თავისებურ სილამაზეს სძენს.



ხუდაფერინის ხიდები. ჯებრაილი



- რა საერთო ელემენტები აქვთ ხიდებს?
- რომელ ნაგებობებში შეიძლება ხიდის კონსტრუქციის ელემენტების ნახვა?

ხუდაფერინის ხიდები აზერბაიჯანის ყველაზე ცნობილი, აგურის დეკორით შემკული ქვის ხიდებია. ისინი მდინარე არაქსზეა გადებული და მის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაპირებს აერთებს.

გაეცანი

გოზბელის ხიდი. ნახიჩევანი




ნითელი ხიდი. ყაზახი




მრუდე ხიდი. გადაბეი



გასახსნელი (ასაწევი) ხიდი



- ხუდაფერინის ორი ხიდი არსებობს.
დიდი – 15-მალიანი და პატარა – 11-მალიანი.



გუაში, აკვარელი, პასტელის ცარცუები

დავალება

- გააკეთე ერთ-ერთი ხიდის ჩანახატი და დაასრულე კომპოზიცია სიუჟეტური ნახატის მიღებამდე.

წარსულში ადამიანები თავდაცვის მიზნით ციხესიმაგრებს აგებდნენ. ჩვეულებრივ, მათ მაღალ გორაკებზე ან ლია ადგილებზე აშენებდნენ, რათა უკეთ დაენახათ, თუ რა ხდებოდა გარშემო. უცხოტომელთა თავდასხმების დროს მოსახლეობას ციხესიმაგრის სქელი კედლები იცავდა.

თავდაცვითი ნაგებობის მშენებლობისა და საძირკვლის ჩაყრისას პირველ რიგში შესაფერის ადგილს ირჩევდნენ. ნაგებობა უფრო დაცულად ითვლებოდა, თუ მიუდგომელ კლდეზე ან მდინარის პირას იდგა. ნებისმიერ მტკიცე ნაგებობას დღესაც ციხესიმაგრეს ადარებენ. თუ ზემოდან დახედავ, ასეთი ციხესიმაგრების მოხაზულობა მართკუთხედს მოგაგონებს. კედლების ფორმასა და კოშკების მდებარეობას ადგილის რელიეფი განსაზღვრავდა, მაგრამ მთავარი ციხესიმაგრის დაცვა იყო. ამისათვის გალავნის სქელ კედლელსა და სამეთვალყურეო კოშკებს აგებდნენ, რომლებიც გალავანზე მაღლი და ცოტათი წინ გამოწეული იყო. ასეთ კოშკს საგუშავო კოშკი ეწოდებოდა.

ციხესიმაგრის კუთხებში იგებოდა მრგვალი კოშკები, კედლების გასწვრივ კი – ოთხკუთხა კოშკები **სათოფურებით**. მანძილი მათ შორის ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ მტერს შენობის შიგნით შემოჭრა ვერ მოეხერხებინა.

გაეცანი

ციხე-კოშკი
დაბა რამანა. აფშერონი





ციხესიმაგრე
კვადრატული
კოშკით.
დაბა მარდაქანი.
აფშერონი



ციხესიმაგრები დაბა რამანასა და მარდაქანში გორაკზე მდგომ გოლიათებს ჰგვანან. გალავანსა და კოშკებს თავზე **ქონგურები** ადგას, რომლებიც აღმოსავლელი მმართველების გვირგვინს მოგვაგონებს. ქონგურები მცხოვრებლებს მტრებისგან იცავდა და კოშკს ამშვენებდა. ციხესიმაგრის ყველაზე მაღლი ნაწილი ნიშნის მიცემისთვის გამოიყენებოდა: მტერზე გამარჯვების ან თავდასხმის საშიშროების დროს აქ ცეცხლს ანთებდნენ.



ციხესიმაგრე მრგვალი კოშკით
დაბა მარდაქანი. აფშერონი




დაიმახსოვრე

გალავანი – კედელი, რომელიც ნაგებობას გარშემო აქვს შემოვლებული.


საგუშაგო კოშკი – სათვალთვალო ადგილი, სადაც ციხესიმაგრის მცველები იმყოფებოდნენ.

სათოფური – ვერტიკალური ჭრილი გალავანში, რომელიც ვიწრო სარკმელს მოგვაცნებს, ეწყობოდა სასროლად.

ქონგურები – გვირგვინის ფორმის ზედა ნაწილი, რომელიც ასრულებდა გალავანსა და კოშკებს.



დაშენებული ქონგური –
სარტყელის
ფრაგმენტი



- რისთვის აგებდნენ ციხესიმაგრეებს?

ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, აკვარელი

დავალება

- დახატე ძველებური ციხესიმაგრე და მისი მცხოვრებლები. არ დაგავიწყდეს სქელი გალავნისა და საგუშაგო კოშკების მიხატვა.

12 | სასახლეები

სასახლის ცხოვრება

ჩვეულებრივ, ძველ აღმოსავლეთში სასახლეებს მმართველის სახელს არქმევდნენ. ფუფუნება, სიმდიდრე და სასახლის დიდებული იერი ქვეყნის ძლევამოსილებას განასახიერებდა.

მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს – ომის გამოცხადებასა და ზავის დადებას – სასახლის დივანხანაში (სხდომათა დარბაზში) იღებდნენ. აქ დიდებულები, ვეზირები, მთავარსარდლები, მცველები მმართველის განკარგულებებს ელოდებოდნენ. ამ ადამიანების ტანისამოსის მორთულობა მათ თანამდებობრივ მდგომარეობაზე მეტყველებდა. განსაკუთრებულად მდიდრულად მორთული ტანისამოსის ტარების უფლება მხოლოდ მპრძანებელს ჰქონდა.

სასახლეს მაღალი გალავანი ჰქონდა შემორტყმული. კოშკებში მცველები იდგნენ. სასახლეში სხვადასხვა ნაგებობა იყო: დივანხანა, მეჩეთი, მავზოლეუმი, აბანო.


ხოსროს მეფედ კურთხევა. შუა საუკუნეების მინიატურა.
მხატვარი – აღა მირეკი.



- რატომ აგებდნენ სასახლის გარშემო მაღალ გალავანს?
- რით განსხვავდებოდა დიდებულების ტანისამოსი მეომრების ტანისამოსისგან?

დავალება

- გამოსახე სასახლის დიდებულთა ცხოვრება. დახატე მპრძანებელი თავის დარბაზში, დიდებულები, მხედართმთავრები და მცველები.



ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, გუაში

*დივანხანა (სპარსული სიტყვა) – ოფიციალური შეხვედრების ადგილი ძველი აღმოსავლეთის სასახლეებში.

13 ქარვასლები

ნაგებობები ქარავნებისთვის

ქარვასლა სავაჭრო ქარავნებისა და მოგზაურთა ღამის გასათევ და გასაჩერებელ ადგილს ერქვა, რომელსაც ჰქონდა დიდი ეზო ცხოველებისა და ოთხთვალებისათვის. აქვე იყო ჭა და სავაჭრო ეზო. ქარვასლაში ვაჭრები ისვენებდნენ და ვაჭრობდნენ კიდეც. ამ ნაგებობებს სავაჭრო გზების გასაყარზე აგებდნენ. მათ სავაჭრო მოედნები ჰქონდათ. ეს იყო ნამდვილი აღმოსავლური ბაზარი, ხალხმრავალი და ხმაურიანი. მოედანს ხელოსნების ფარდულები ერტყა გარს.



ქარვასლის ეზო. შექი



სენაკი (ოთახი)
ქარვასლაში. აქ
ვაჭარს შეეძლო
დაესვენა და თან
თვალყური ედევნე-
ბინა იმისათვის, რაც
გარშემო ხდებოდა.




- რით განსხვავდება ქარვასლა სასახლისგან?
- რა იყო ქარვასლის ეზოში?
- რა ნაგებობები არსებობს ჩვენს დროში ქარვასლების მაგივრად?

ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, გუაში

დავალება

- დახატე ხალხმრავალი და ხმაურიანი მოედანი, გარშემო ხელოსანთა ფარდულები, მათ წინ კი – მყიდველები. თუ აქ ცხოველების, ოთხთვალებისა და ჭის დახატვასაც მოახერხებ, ნამდვილი ქარვასლა გამოგივა.



შეაძლოა შეი თავი

1. გვიამბე ქვის ქანდაკებებისა და მათ ზედაპირზე გამოსახული სიმბოლო-მორთულობების შესახებ.





2. გვიჩვენე ხიდები მოცემული თანამიმდევრობის მიხედვით.
გვიამბე, რა მასალისგან აგებდნენ მათ.

ხის ხიდი

გასახსნელი
ხიდი

დაკიდული
ხიდი

ქვის ხიდი



3. წაიკითხე აღნერა და განსაზღვრე, რომელ შენობას შეესაბამება იგი.

- სპეციალური ნაგებობა ქარავანთა და მოგზაურთა დროებით გასაჩერებლად.
- თავდაცვის მიზნით აშენებული ნაგებობა.
- აქ ატარებდნენ საწესჩვეულებო მსახურებას, აცხადებდნენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.
- ამ ნაგებობებს აშენებდნენ პატივსაცემი ადამიანების ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მავზოლეუმი

ტაძარი

ციხესიმაგრე

ქარვასლა

3

ჩვენი ქვეყნის ხელოვნება

ყოველი ქალაქი განსაკუთრებულია –
თითოეულს თავისი განუმეორებელი იერსახე
და ხასიათი, თავისი ისტორია აქვს.
ქალაქები მუდმივად განახლებას განიცდის.
სხვადასხვა ეპოქის ნაგებობანი სხვადასხვა
ეპოქის ადამიანებივით განსხვავდება
ერთმანეთისგან.
მათ იერსახეში ერის ისტორიული გზა, მის
ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები აისახება.



ქალაქები უცებ არ აღმოცენებულა. ისინი ციხესიმაგრეების გარშემო იქმნებოდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა. ადრე ასეთი გამოთქმაც არსებობდა: ქალაქის გული. გალავნის კედლებს მიღმა ძველად უამრავი რამ იყო თავმოყრილი: ტაძრები, მეჩეთი, აბანო, მმართველის სასახლე, დიდებულთა – ემირებისა და მხედართმთავრების – სახლები.



ქალაქის ცენტრში იყო ბაზარი – დიდი სავაჭრო მოედანი, მოქალაქეთა შესაკრებელი, სახალხო კრების ადგილი. ხოლო გარეუბანში ხელოსნების დასახლება იყო. აქ ცხოვრობდნენ და თავიანთ სახელოსნოებში საქმიანობდნენ ხაბაზები (მცხობელები), ოქრომჭედლები, ფეიქრები (მქსოველები), მჭედლები, მეთუნეები (მექოთნეები), დაბალები (ტყავის ოსტატები) და სხვები.

ძველი ქალაქების ტაძრები სხვა ნაგებობებისგან დიდებულებით გამოიჩინდნენ, ზემოდან დაჰყურებდნენ ქალაქს თავისი გუმბათებითა და მინარეთებით. ქალაქის სახლები კრამიტით იყო გადახურული. ღუმელში გამომვარი ეს თიხის მართვულთა ფილები სახურავს ნესტისგან იცავდა.

ძველი ქალაქების თავისებურება ის იყო, რომ ისინი საქარავნო გზებზე მდებარეობდა. უცხოელები დახელოვნებული ოსტატების მიერ დამზადებულ ნივთებს ყიდულობდნენ და თავიანთ ქვეყნებში მიჰეკონდათ.

ქალაქებს, ისევე, როგორც ადამიანებს, თავისებური ხასიათი და ცხოვრების წესი ჰქონდათ.



- რა ნაგებობებია ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქისთვის?
- რას ნიშნავს გამონათქვამი: „ყველა ქალაქს თავისი ხასიათი აქვს“?



ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

დავალება

- დახატე ძველებური ქალაქი. წარმოიდგინე, რომ მას შორიდან ან ზემოდან დაჰყურებ და მთელი ქალაქი შენ თვალწინაა გადაშლილი. ხატვისას არ დაგავიწყდეს კომპოზიციის მთლიანობისა და პერსპექტივის წესების დაცვა.

ხალხური რეწვა (ხელოსნობა): სპილენძის
ნაკეთობები

უძველესი ქალაქი განჯა, რომელიც საქარავნო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა, განთქმული იყო გაცხოველებული ვაჭრობითა და დახელოვნებული ოსტატებით. ყველაზე ლამაზ ქსოვილებს – ატლასს, ფარჩას, აბრეშუმს – და მათგან შეკერილ ტანისამოსს, რომელსაც „ალ-განჯა“ ეწოდებოდა, აქ ამზადებდნენ. მჭედლების მიერ დამზადებული ნაკეთობები – საპრძოლო და შრომის იარაღები, სამზარეულოს ჭურჭელი, ჭედურობა – თავისებური ნატიფი მოხატულობით გამოირჩეოდა.

განჯაში იყო ქუჩა, სადაც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ სპილენძის ნაკეთობათა ოსტატები. აქ მდებარე სახელოსნოებში სპილენძის ჭურჭელს ამზადებდნენ. მისი ნაირნაირი სახეობები – მუზარადები, სერნიჯები, თუნგები, ლანგრები, სპილენძის ვიწროყელიანი ვედროები, ქოთნები – ფორმებითა და ორნამენტით ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ეს ჭურჭელი ყოველდღიურ ყოფაში გამოიყენებოდა და ამასთანავე სპილენძის დამუშავების ხელოვნების არაჩვეულებრივ ნიმუშებს წარმოადგენდა.

გაეცანი

განჯელი ხელოსნების მიერ
დამზადებული სპილენძის
ჭურჭლის ნიმუშები



სპილენძის ქოთანი



და თასი. მე-19 საუკუნე




სპილენძის ქოთანი. მე-19 საუკუნე



სპილენძის ფილა. მე-19 საუკუნე

იცი თუ არა, რომ? განჯელი ოსტატების მემკვიდრეობა, ჭედური რკინის ალაყაფი, დღესაც ჩვენი ერის სიამაყეს წარმოადგენს. გალავნით გარშემორტყმულ ქალაქში მდებარეობდა მმართველის სასახლე, დიდებული ციხესიმაგრები, მავზოლეუმები, ქარვასლები, მეჩეთი, მედრესე და სხვა ღირსშესანიშნავი ნაგებობანი.



ძველი ქალაქის,
განჯის, ხედი



- მეტალზე მუშაობის რა ხერხებია შენთვის ცნობილი?
- გვიამბე, რა იცი ქალაქ განჯის არქიტექტურის შესახებ.




გუაში, პასტელის ცარცები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

დავალება



- დახატე ნატიურმორტი სპილენძის ნაკეთობებით. მიაქციე ყურადღება კომპოზიციის გამართულობას. ნაკეთობების ზედაპირი ორნამენტით მოხატე და შესაბამისად გააფერადე. ხატვისას შეგიძლია გამოსახვის ქვემოთ ნაჩვენები თანამიმდევრობა გამოიყენო.



სერნიჯი



სხვადასხვა
ფორმის
თუნგები



მიუხედავად იმისა, რომ დიდ ქალაქებს შორის გარკვეული მსგავსება არსებობს, თითოეულ მათგანს განუმეორებელი თავისებურებებიც გააჩნია. ამ ქალაქების ხელოვნება და ადათ-წესები აქ შექმნილ სიუჟეტურ ხალიჩებშია ასახული. აბრეშუმის ქსოვილები და ხალიჩები, რომელთაც „შირვანს“, „გობუსტანს“, „შემახის“, „ისრაფილს“, „არჩიმანს“ უწოდებდნენ, შალის წინდები კაშკაშა ორნამენტით – ეს ყველაფერი ქალაქ შემახის დახელოვნებული ოსტატების ხელითაა დამზადებული.

ხალიჩების მოხატულობაში გამოყენებული ფერი, ფორმა და რიტმი ბუნების ყველანაირ ელფერს გადმოგვცემს. ყოფითი სცენების გამოსახვის დეკორატიული სტილი და ფიგურების მოხატულობად ქცევის ხელოვნება ხალიჩების შემახელი მქსოველების მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

გაეცანი

სიუჟეტურ ხალიჩას გარს კაშკაშა ორნამენტების არშია აკრავს.
მასზე ნადირობის სცენაა
გამოსახული: ცხენზე
ამხედრებული მონადირის
ფიგურა, მწევარი ძალლები,
კუთხეებში კი მამლები –
სიკეთის მაუწყებლები.




„ნადირობა“. სიუჟეტური კომპოზიცია ხალიჩაზე.



დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების რა სახეობები არსებობს?
ხალიჩის ორნამენტების რა კანონზომიერებებია შენთვის ცნობილი?

დავალება

- დახატე სიუჟეტური ხალიჩის ესკიზი სიმეტრიისა და რიტმის გათვალისწინებით. ძირითად სიუჟეტად შეგიძლია აიღო ნადირობის სცენა, ყოფითი სცენა, პორტრეტი. შეიძლება ნატიურმორტიც. გახსოვდეს, რომ ის, თუ როგორი გამოვა ხალიჩა, დამოკიდებულია მოხატულობის ფერზე, ფორმასა და რიტმზე.



ნოვრუზი გაზაფხულის დადგომის, ხვნა-თესვის, უხვი მოსავლის თხოვნისა და კეთილდღეობის დღესასწაულია. ნოვრუზისადმი მიძღვნილი ზეიმი თავად დღესასწაულის დადგომამდე ორმოცი დღით ადრე იწყება.

განსაკუთრებით საზეიმოდ აღნიშნავენ დღესასწაულისწინა ბოლო სამშაბათს: ალაგებენ სახლსა და ეზოს, აცხობენ ნაირ-ნაირ ტკბილეულს და დიდ მზრუნველობას იჩენენ ავადმყოფების მიმართ. ითვლება, რომ ამ დღესასწაულს ყველა ჯანმრთელი და სუფთა უნდა შეხვდეს.



ალექბერ რზაკულიევი.
თამაში კვერცხების დამტვრევა



ალექბერ რზაკულიევი.
ნოვრუზისთვის მზადება

საზეიმო სუფრაზე დგამენ ხონჩას შვიდი სახეობის კერძით და სანთლებს ანთებენ. დღესასწაულის წინა საღამოს ბავშვები კარდაკარ დადიან და საჩუქრებს აგროვებენ. ამისათვის ისინი საკვამურში პატარა ხურჯინს უშვებენ ან კარქვეშ ქუდებს ყრიან. დღესასწაულის დღეს კი სხვადასხვა სანახაობა და წარმოდგენა იმართება.

ნოვრუზის დღესასწაულის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თამაში კვერცხების დამტვრევა იყო. მოთამაშები შეღებილ საღლესასწაულო კვერცხებს ამტვრევდნენ და გამარჯვება მას ერგებოდა, ვისი კვერცხიც მთელი დარჩებოდა. კვერცხების გატეხის ტრადიცია ზამთრისა და გაზაფხულის, სიცივისა და სითბოს ბრძოლას გამოხატავდა.

ნოვრუზის პირველი ოთხი დღე წლის მომავალი ოთხი სეზონის სიმბოლური გამოხატულება იყო.



მაგომედ ორუჯოვი. დღესასწაულის სალამო



- ნოვრუზის დღესასწაულისთვის დამახასიათებელი რა ნიშნებია გამოსახული მხატვრების ტილოებზე?
- კიდევ რომელ ქვეყნებში აღნიშნავენ ნოვრუზის დღესასწაულს?

გუაში, პასტელის ცარცები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

დავალება

- დახატე ნახატი, რომელიც ნოვრუზის ტრადიციებს ასახავს. ნახატზე შეგიძლია გადმოსცე დღესასწაულის წეს-ჩვეულებები, თამაშები და წარმოდგენები.

აზერბაიჯანელი მხატვრები

კულტურული მემკვიდრეობა

18 | მირზა ჰადიბ ირევანი მამედჭუსაინ ოღლუ (1825-1875)

მირზა ჰადიბ ირევანი დასავლეთ აზერბაიჯანის ქალაქ ირევანში დაიბადა. მხატვრობის ხელოვნება მას მამამ შეასწავლა, რომელიც ხეზე კვეთის ოსტატი იყო. თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში მ. ჰ. ირევანი დეკორატიული ხელოვნებით იყო დაკავებული, მუშაობდა, როგორც მხატვარორნამენტალისტი და პორტრეტისტი. იგი იყო აზერბაიჯანში „დაზგური ფერწერის“ ფუძემდებელი. მისი ნამუშევრები „კავალერისტი“, „მოცეკვავე ქალი“, „დერვიში“ ამჟამად აზერბაიჯანის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია გამოფენილი და ჩვენი ხელოვნების სიამაყეს წარმოადგენს.

მხატვარმა აღადგინა პანო და სიუჟეტური კომპოზიციები ირევანის სარდარის სასახლეში. სასახლის სარკეებიანი დარბაზის კედლებზე მან ფათალი შაჳ ყაჯარისა და აბას მირზას მონუმენტური პორტრეტები შექმნა. სომხური აგრესის შედეგად ეს არქიტექტურული ძეგლი დაინგრა.

მ. ჰ. ირევანის მიერ შექმნილი ნახატები „ბიჯისულა მირზა“, „მოლა“, „ქალი“, „ახალგაზრდა კაცის პორტრეტი“ აზერბაიჯანის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ნახატი „მაჳ ტალათ ჰანუმი“ კი – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ეს პორტრეტები თავიანთი გამომსახველობითა და გამორჩეული კოლორიტით დღესაც აღაფრთოვანებს მნახველს.

ნახატებში „მეფე ალექსანდრე მეუღლესთან ერთად“, „შაჳი და ვეზირი“ მხატვარმა ყოფითი სცენები ჩართო. სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის მუზეუმში ინახება მისი ტილო „ყვავილები და ფრინველები“.

დეკორატიულობა და რეალიზმი ოსტატის ნაწარმოებებში, რომელმაც აღმოსავლური მინიატურა, ხალხური შემოქმედება და ევროპული ფერწერის სტილი გააერთიანა, ერთმანეთს ჰარმონიულად ავსებს.

მ. ჰ. ირევანიმ საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას აზერბაიჯანის სახვით ხელოვნებაში.



რა როლი შეასრულა აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების განვითარებაში მ. ჰ. ირევანიმ?

დავალება

გუაში, პასტელის ცარცუები

- დახატე ცნობილი ადამიანის პორტრეტი და შეეცადე, გადმოსცე მისი ხასიათის თავისებურებები.

¹ „დაზგური ფერწერა“ – ფერწერა, რომელიც დაზგაზე (მოლბერტზე) იქმნება.

² „მონუმენტური ფერწერა“ – ფერწერული ნაწარმოები, რომელიც მჭიდროდაა

დაკავშირებული არქიტექტურასთან.

ს ა მ ხ ა ტ ვ რ მ გ ა ლ ე რ ე ა

მირზა ჰადიმ ირევანის მიერ შექმნილი
პანო და კომპოზიციები
ირევანის სარდალის სასახლეში



ფათალი შაჰ ყაჯარი



ჰასან ხან ირევანლი
(სარი ასლანი)



მაჟ ტალათ ჰანუმი



ქალის პორტრეტი



ირევანის სარდალი



ირევანის სარდალი



ყმანვილის პორტრეტი

აზერბაიჯანელი მხატვარი უსტა კამბარ კარაბაღი ქალაქ შუშაში დაიბადა. იგი ნიჭიერი ფერმწერი და მხატვარ-ორნამენტალისტი იყო. გარდა ამისა, მან შექმნა ნაციონალურ სტილში შესრულებული კედლის მხატვრობის არაჩვეულებრივი ნიმუშები.


შექის ხანების საზაფხულო სასახლის დარბაზის მოხატულობის რესტავრაციის დროს კარაბაღიმ ტრადიციულ ნაციონალურ სტილში ახალი ელფერები შეიტანა. ოსტატის კომპოზიციებში, რომლებშიც დეკორატიული ხელოვნების სტილი ფერწერასთანაა შერწყმული, დიდი და პატარა დეტალების კოლორიტი და ჰარმონია საზეიმო განწყობას ქმნის. კედლების მოხატულობა ზღაპრულ ბალს მოგვაგონებს. აქ გამოსახულ თითოეულ ყვავილს თავისი ფერი აქვს.

მხატვარმა თავის ნახატებში აღმოსავლური ფერწერისთვის უცნობი ახალი ხერხები გამოიყენა. ამ ნახატებში დეკორატიული და რეალისტური გამოსახულებები თითქოს ავსებენ ერთმანეთს. მრავალფიგურიანი სამხედრო კომპოზიციები აღმოსავლური მინიატურის სტილს მოგვაგონებს.

ქალაქ შუშაში მხატვარმა არაერთი სახლი მორთო კაშკაშა დასამახსოვრებელი მოხატულობით.

უსტა კამბარ კარაბაღის მემკვიდრეობა
შექის ხანების სასახლის კედლების მოხატულობა, ფრაგმენტები





ნადირობისა და ბრძოლების
სცენები, რომლებიც შექის
ხანების სასახლის კედლებს ამშვენებს.




რა სიახლე შეიტანა უსტა კამბარ
კარაბალიმ მხატვრობის ტრადი-
ციულ აღმოსავლურ სტილში?

გუაში, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

დავალება

- შენი ნარმოდგენით შექმენი
ნახატი, რომელშიც ნადირობის ან
ბრძოლის სცენებს ასახავ.





აზერბაიჯანელი მხატვარი მირ მოჰამედ ნავაბი ქალაქ შუშაში დაიბადა. ნიჭიერი მხატვარი ასევე ცნობილი იყო, როგორც პოეტი, მუსიკათმცოდნე და კალიგრაფი. დაწყებითი განათლება ნავაბმა სასულიერო სკოლაში მიიღო. იგი ენციკლოპედიური ცოდნისა და უნიკალური ნიჭის პატრონი იყო. მან შეისწავლა არაბული, სპარსული და თურქული ენები, ასტრონომია, ქიმია, მათემატიკა და სხვა მეცნიერებები. იგი წერდა ლექსებს, გამოსცემდა მეცნიერების სხვადასხვა დარგისადმი მიძღვნილ წიგნებს. ნავაბი, რომელიც სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს ქმნიდა, ამავდროულად იყო ერთ-ერთი პირველი მხატვარ-კალიგრაფი და წიგნების გამფორმებელი აზერბაიჯანში.

თავისი სახლისა და იმ სკოლის კედლები, რომელშიც იგი ასწავლიდა, ნავაბმა ფრინველებისა და ყვავილების გამოსახულებებით მოხატა. აზერბაიჯანულ დეკორატიულ ხელოვნებაში ეს მოხატულობა ჭეშმარიტი შემოქმედების ნიმუშად იქცა.

მისი აკვარელით შესრულებული ნამუშევრები, წიგნის მინიატურები და ორნამენტები, ლითოგრაფიის ტექნიკით დაბეჭდილი წიგნების მხატვრული გაფორმება აზერბაიჯანში წიგნის გრაფიკის განვითარების პირველ ნაბიჯებად იქცა.

ნავაბმა ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქ შუშის გოვჰარალას მეჩეთის გაფორმებაში.



ფრინველებისა და ყვავილების გამოსახულებები, ემირ თეიმურის რომლებიც მხატვრის სახლს ამშვენებს.

ემირ თეიმურის
პორტრეტი

¹ კალიგრაფია – ლამაზი და მკაფიო წერის ხელოვნება, კალიგრაფი – ლამაზად წერის ოსტატი.

² ლითოგრაფია – ანაბეჭდი ქვის ზედაპირიდან, რომელზეც სურათია დახატული.




დერვიშ ნურალი შაპის პორტრეტი



აბდურამიან ჯამის პორტრეტი

ილუსტრაციები



მ. მ. ნავაბის
შემოქმედების რა
ნიშნები განასხვავებს
მას სხვა
მხატვრებისგან?

გუაში, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

დავალება

- დახატე ილუსტრაცია ფრინველებისა და ყვავილების გამოსახულებებით.



აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი, ნაციონალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მოქანდაკე ომარ ელდაროვი დაიბადა ქალაქ დერბენდში, დაღესტანის რესპუბლიკაში.

ელდაროვმა აზერბაიჯანის სამხატვრო სკოლის ქანდაკების განყოფილება დაამთავრა და სწავლა ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგის) ი. ე. რეპინის სახელობის ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის ინსტიტუტში გააგრძელა.

იგი აზერბაიჯანის კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების: პოეტების, მუპამედ ფიზულის, ხურშუდბანუ ნათავანის, ჰუსეინ ჯავიდის, კომპოზიტორ უზეირ ჰაჯიბეილის, მხატვარ სათარ ბაჰლულზადეს, სკულპტურული კომპოზიციების ავტორია.

ცნობილმა მოქანდაკემ ხელოვნების ნიჭიერი მოღვაწეების რამდენიმე თაობა აღზარდა.



ფიზულის ქანდაკება
(თოქაი მამედოვთან
ერთად)



ნათავანის ძეგლი



უზეირ ჰაჯიბეილის ძეგლი



სახვითი ხელოვნების რომელ უანრს მიეკუთვნება ო. ელდაროვის შემოქმედება?

დავალება

- გამოქარნე საკუთარი პორტრეტი. შეეცადე, შენთვის დამახასიათებელი ნაკვთები გადმოსცე.


პლასტილინი ან თიხა

თოლიულ ფარმან ოდლუ ნარიმანპეტო (1930-2013)

თოლიულ ნარიმანბეკოვი ქალაქ ბაქოში დაიბადა. მან ჯერ აზერბაიჯანის ხელოვნების სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი – ლიტვის სახელმწიფო სამხატვრო ინსტიტუტი. თ. ნარიმანბეკოვი მრავალი თეატრალური სპექტაკლის დეკორაციების გამფორმებელია.

მის მომაჯადოებელ ნაწარმოებებში – ნატიურმორტებსა და პეიზაჟებში, როგორებიცაა: „გეიჩაის ბაღებში“, „საგაზაფხულო ბაზრობა“, „ბრონეულები და მსხლები“, „ყვავილები“, „ძველი ჩინარი“, „ქალწულის კოშკი“ – ბუნების კაშკაშა ფერების ხმოვანება უღერს. მათ თითქოს შეისრუტეს მიწის მადლი, გეიჩაის, ზაქათალისა და ლენქორანის ბუნების ფერთა სიუხვე.

თ. ნარიმანბეკოვი მრავალი საერთაშორისო გამოფენის მონაწილეა. მისი პერსონალური გამოფენები არაერთგზის მოწყობილა გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კუბაზე, ინდოეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში.



გეიჩაის ბაღებში



ბრონეულები
და მსხლები



გაზაფხული
ბაქოში



რა კოლორიტი შეიმჩნევა თ. ნარიმანბეკოვის ნახატებში?


გუაში, აკვარელი

დავალება

- დახატე ნატიურმორტი ან პეიზაჟი კაშკაშა კოლორიტით.


შეაძლოთ შეიძი თავი

1. დაასახელე ნაწარმოები
და მისი აუტორი.



1


მირზა ჰადიმ ირევანი
უსტა კამბარ კარაბალი
მირ მოპსუნ ნავაბი
ომარ ელდაროვი
თოლრულ ნარიმანბეկოვი



2



3



5

2. იპოვე სიუჟეტური ხალიჩა



5



6



8

4

ყველა ერი შემოქმედია

ხელოვნება სილამაზისა და სიბრძნის სამყაროა. ყოველ ერს თავისებური წარმოდგენა აქვს მშვენიერებაზე. ხელოვნება ერის სულს, მის ხასიათსა და ოცნებებს გამოხატავს.

თითოეული ხალხის კულტურაში სილამაზის, სიკეთისა და ბოროტების, სათნოებისა და ადამიანურობის გამოხატვა შემთხვევითი კი არა, კანონზომიერია. მასში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული.



იოლი გადასაწყვეტი არ არის, თუ საიდან ჯობს ჩვენი მოგზაურობის დაწყება. მოდით, გავემგზავროთ ქვეყანაში, რომელიც მზის ამოსვლას პირველი ეგებება!

წარმოიდგინე უკიდეგანო ოკეანე და მაღალი მთები წაწვეტებული მწვერვალებით, რომლებიც თითქოს წყლიდან ამოზიდულა. ეს მწვერვალები წყლის ზედაპირზე კუნძულების ჯაჭვას ქმნის. კუნძულების მცხოვრებლები თავიანთ ქვეყანას იამატოს უწოდებდნენ, რაც „მთების გზას“ ნიშნავს. იაპონია – ასე მოიხსენიებენ ამ ქვეყანას ჩვენს დრომი.

იაპონიაში ძალიან ნოტიო ჰავაა და ხშირად იცის ნისლი. თუ ბუნებას ნისლიან ამინდში დაკვირდები, შეიძლება გასაოცარი რამ შენიშნო: ის, რაც ახლოსაა, მაგალითად, ხის ტოტი, ზედ დაკიდებული ბრჭყალა წვეთებით, მსხვილად, მკვეთრად მოჩანს, ხოლო ის, რაც შორსაა – მქრქალად, მოვერცხლისფროდ, თითქოს მსუბუქი ჩრდილი იყოს.



პეიზაჟი. ტუში.

ასე ხედავენ იაპონელები თავიანთ პეიზაჟს და სწორედ ასე უყვართ მისი გამოსახვა: ზედმიწევნით ზუსტად ხატავენ წინა ხედის დეტალებს, ხოლო უკან გამოსახავენ მთების ბუნდოვან სილუეტებს – უკიდეგანო სამყაროს.

ჩვეულებრივ, ასეთ პეიზაჟებზე გვხვდება ლექსების მოკლე წაწვეტები, რომლებიც განსაკუთრებული კალი-



ბამბუკი. ტუში



კალიგრაფია.
ქალალდი.
ტუში



გრაფიული ხერხითაა გამოყვანილი.

კალიგრაფია ლამაზად და გამომსახველად წერის ხელოვნებაა. ხელწერა თავად გამოხატავს დაწერილის განწყობას.

ასეთი წარწერები ფუნჯითა და შავი ტუშით გამოჰყავდათ გრძელ გრაგნილებზე. იაპონიაში მათი კედლებზე დაკიდების ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი.

ამ ქვეყანაში ხელოვნების კიდევ ერთი განსაკუთრებული სახეობა არსებობს. ყვავილებისა და ტოტებისგან სხვადასხვა კომპოზიციის შედგენის ტრადიციულ იაპონურ ხელოვნებას იკებანა ეწოდება. ზოგჯერ იკებანას ყვავილების **სკულპტურას** უწოდებენ.



იკებანას მაგალითები

გაეცანი


პაგოდა – იაპონური ტაძარი, რომელიც ნატიფ კოშეს მოგვაგონებს. ყოველ სართულს თავისი სახურავი აქვს. ამ სახურავების თავისებურება ზევით აწეული კიდეებია. სახურავის ბოლოებში ზოგჯერ პატარა ზანზალაკებს კიდებენ. მათ ქარი ათამაშებს და აწკრიალებს.



პაგოდა

მთაგორიან იაპონიაში ხშირად იცის ძლიერი ქარები და მიწისძვრები, ამიტომ სახლების კონსტრუქცია მსუბუქია.

კედლების ნაცვლად სახლებში გასაწევი შირმებია. სახლის შიგნითაც ყველაფერი ძალიან სადაა, თითქმის არაა ავეჯი, სამაგიეროდ არის სივრცის შეგრძნება.



ტრადიციული იაპონური სახლი
სქემა



იაპონელი ქალის ტრადიციულ სამოსს **კიმონო** ეწოდება. კიმონოს გრძელი, ფართო სახელოები აქვს, ზურგზე კი – მდიდრული ბათუთა. კიმონოს სილამაზე მის მოხატულობაშია.

იაპონიის მცხოვრებლები დღესაც იცავენ ტრადიციული დღესასასანაულების წეს-ჩვეულებებს. მათი ყველაზე საყვარელი დღესასასანაული საკურას (ალუბლის) ყვავილობაა. ეს არის გაზაფხულისა და სიყმანვილის დღესასანაული, რომელზეც იაპონელები მიდიან ბუნებისგან ნაბოძები მშვენიერებით დასატკბობად.

გაეცანი

იაპონური სახლის ინტერიერის ელემენტები




გასახსნელი შირმა (ფარდა)

ჩარჩო, რომელზეც
ნაჭერია გადაჭიმული,
დასაკეცი ტიხარი.

კიმონო

კიმონო – იაპონელი ქალის
ტრადიციული სამოსი



კალიგრაფიული
ნაწარმოები

იკეპანა



- რა თავისებურებები ახასიათებს იაპონურ ხელოვნებას (გამოსახულებებს, სამკაულსა და შენობებს)?
- რა საერთო და განსხვავებული ნაკვთები შეიძლება დავინახოთ აზერბაიჯანელი და იაპონელი ქალების სახეებში?

აკვარელი, გუაში, ფლომასტერები, პასტელის ფარცები

დავალება

- შექმნი ნახატი, რომელიც იაპონელი ხალხის ჩვეულებებს ასახავს. შეგიძლია დახატო იაპონელი ქალის სახე, იაპონური სახლი, პაგოდა, ტოტი ან აყვავებული საკურას ბაღი, ან, უბრალოდ, იაპონური პეიზაჟი.

24 ჩრდილოეთის, მთიანისა და სტეპის მკვიდრი ხალხები

ნაგებობების მრავალგვარობა, ცხოვრების წესი

რამდენად მრავალფეროვანიცაა ჩვენი პლანეტის ბუნება, იმდენადვე განსხვავებულია სხვადასხვა ხალხის ცხოვრების პირობები.

ადამიანებმა უკვე დიდი ხანია ისნავლეს ცხოვრება როგორც მთებში, ისე დაბლობებზე – მდინარეების პირას, ციკ, თოვლიან ადგილებშიც და გავარვარებულ ქვიშიან უდაბნოებშიც. ისინი შეეგუვნენ ბუნებრივ პირობებს და მოახერხეს საკუთარი ადამიანური სამყაროს შექმნა.


ადამიანს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, აუცილებლად სჭირდება საცხოვრებელი. საცხოვრებლის ტიპი, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პირობებია ირგვლივ – სიცხეა თუ სიცივე, მთიანი ადგილია თუ ვაკე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის სამშენებლო მასალა, რომელსაც სახლის ასაგებად გამოიყენებენ. იოლი წარმოსადგენია სახლი, რომელიც ხით, ქვით ან აგურითაა ნაგები, მაგრამ, როგორი წარმოგიდგენიათ ყინულისგან აგებული სახლი?

თოვლისა და ქარბუქისგან თავდასაცავად ჩრდილოეთის მკვიდრი ესკიმოსები აგებენ **იგლუს** – ყინულისგან გამოთლილი მოზრდილი ლოდებისგან აწყობილ მრგვალ სახლს. იგლუს შიგნით ყველაფერს ბეწვეულით ფარავენ და ცეცხლსაც ანთებენ. მკაფრი ყინვა გარედან **იგლუს** დადნობის საშუალებას არ აძლევს.

ჩრდილოეთის სხვა ხალხი – ძირითადად მეირმეები და მონადირეები – ირმის ტყავებისგან აგებენ მომრგვალებული ფორმის **იარანგებსა** და წაწვეტებული ფორმის **იარანგებსა**.



ჩუმი



იარანგა



ჩუმებს, რომლებიც ასაწყობადაც ადვილია და ადგილიდან ადგილზე გადასატანადაც. მართალია, ისინი ჩვენს ალაჩიგს მოგვაგონებს, მაგრამ ფორმით სხვანაირებია.

მთის სოფელი მერცხლის ბუდეს ჰგავს. ქვის ქოხები ერთმანეთის გვერდით და ერთიმეორის თავზე მიჯრითაა მიწყობილი. სოფელი კი არ ფართოვდება, სიმაღლეში „იზრდება“. სარკმლებიანი კარები პირდაპირ ეზოში გამოდის. ამ ნაგებობების ბრტყელ სახურავებზე ზაფხულის ცხელ ღამეებში იძინებენ, დღისით კი მზეზე ხილს აშრობენ. ახლოდან მთის აული ციხესიმაგრეს მოგვაგონებს, შორიდან კი იგი თითქოს კლდეებსა და ქედების მკვეთრ ხაზებს ერწყმის.

მარალ რაჭმანზადე.
სოფელი ხინალიგი





სტეპებში როგორდა ცხოვრობენ? სტეპი ყველა მიმართულებითაა გადაჭიმული. ბალახის უკიდეგანო საფარი ხალიჩა-სავით ეფინება ქარებით გადასწორებულ დამრეც გორაკებს. სიჩუმეს მხოლოდ ქარის ზუზუნი არღვევს. უსასრულო სტეპებზე ზამთარ-ზაფხულ აძოვებენ შინაური ცხოველების მრავალრიცხოვან ჯოგებს. ამიტომაც არიან სტეპების მკვიდრნი მეცხოველები. მათ მომთაბარებს უწოდებენ, რადგანაც დაუსრულებლად გადაადგილდებიან უკიდეგანო სტეპებში. სტეპის მცხოვრებლები მარჯვე მოჯირითეები არიან. ყოველი მათგანი ძალიან უფრთხილდება თავის ცხენს.

მომთაბარენი თავიანთ საცხოვრებელს ცხვრის მატყლის-გან „აგებენ“. მატყლისგან აკეთებენ ქეჩას, ქსოვენ ხალიჩებს, რათა ისინი თბილ კედლებად აქციონ. ამგვარ მსუბუქ, დასაშლელ-ასაწყობ ნაგებობას **იურთი** ეწოდება. იურთის, ისევე როგორც მასში არსებული ყოველი ნივთის, მორთულობა გარკვეულ აზრს ატარებს: ორნამენტების მიზანია, დაიცვას სახლი ავი თვალისაგან და მოიზიდოს ილბალი. ეს ორნამენტები, ნიშან-სიმბოლოები, შორეული წარსულიდან მოდის, როდესაც თაყვანს სცემდნენ ცას, მზესა და ვარსკვლავებს.

იურთის შიგნით იატაკსა და კედლებს თბილი, ფერადოვანი ხალიჩებით ფარავენ. მათ ორნამენტებში ჭარბობს წითელი ფერი – სიხარულისა და გაზაფხულის სიმბოლო. ყინვიან ზამთარში, წვიმიან შემოდგომაზე და ცხელ ზაფხულში იურთი ადამიანის საიმედო დამცველია. მათვის, ვინც მომთაბარე ცხოვრებას ეწევა, იურთი ყველაზე მოსახურხებელი სახლია.



ବ୍ୟାକ



- რა არქიტექტურული თავისებურებები ახასიათებს ჩრდილოეთისა და სტეპის მკვიდრთა საცხოვრებლებს?
 - რა საერთო ნიშნები აქვს სხვადასხვა ხალხის იურთებს?

დავალება

- დახატე ნახატი, რომელიც გამოსახავს ჩრდილოეთის, მთებისა ან სტეპების მკვიდრთა ცხოვრების წესს. შეეცადე, ნახატში გადმოსცე ჩრდილოეთის მკაცრი ყინვა, უკიდეგანო სტეპების სილამაზე ან მთების სიდიადე. არ დაგავიწყდეს ნაგებობების სახასიათო ნიშნების გადმოცემა.

აკვარიუმი, გუაში, ფლომასტერები, პასტერის (კარცები

პაპანაქება სიცხე და უწყლოობა სტეპს უდაბნოდ აქცევს. გავარვარებულ ქვიშაზე, დამსკდარ მლაშობზე გაჭირვებით მიიზლაზნება ქარავანი. გრძელი გზისგან დაქანცული მგზავრების თვალწინ უეცრად ჩნდება ქალაქის გუმბათების ბუნდოვანი სილუეტები. ეს არის ქალაქი, რომელიც უზარმაზარ ზღაპრულ სასახლეს მოგვაგონებს.

ქალაქი შუა აზიაში. ბუხარა



უამრავი დიდი და პატარა, მზეზე ნაირფერად მოციმციმე მოცისფრო-ფირუზისფერი გუმბათი ქალაქის სილუეტს ქმნის. ასეთ ქალაქს საფუძველიც მყარი აქვს და ზრდა-განვითარებასაც აგრძელებს, რადგან აქ არის წყალი. მისკენ მოემართება საქარავნო გზები. ვაჭრებს აქ დასვენება და ერთმანეთ-თან შეხვედრა შეუძლიათ, ეს კი ვაჭრობას ნიშნავს. ამიტომ სავაჭრო მოედანი ხმაურიან და ხალხმრავალ აღმოსავლურ ბაზარს წარმოადგენს. მოედანს გარს ხელოსნების ფარდულები აკრავს. აქ დახელოვნებული ოსტატების მიერ დამზადებული უამრავი ნივთია: ვერცხლისა და სპილენძის ჭურჭელი, ფიალები, ნატიფი წვრილყელიანი თიხის ქოთნები, დატვიფრული ტყავის ქამრები, ზარდახშები, ათასნაირი ფერის ქსოვილები, ხალიჩები...

მართალია, ეს ნივთები სადა ფორმისაა, მაგრამ მათი ზედაპირი რთული ორნამენტის მოხატულობითაა დაფარული. ფოთლები, ყვავილები და ყვავილის ფურცლები, რომბები, ვარსკვლავები გაფანტული სხივებით, წარწერები – უცნაურ, მიმზიდველ მოხატულობას ქმნის.



აღმოსავლელი დახელოვნებული ოსტატების მიერ დამზადებული ნივთები



ასეთივე მომაჯადოებელი ორნამენტული შენობების ის კედლები, რომლებიც მოედანზე გამოდის. თიხისგან აგებული კედლები საკმაოდ სქელია, მაგრამ მათ მასიურობას მოზაიკა და ქვის აუზული ჩუქურთმა ნიღბავს. თვალშისაცემია წინ გამოწეული, მდიდრულად მოხატული პორტალი – შესასვლელი კარიბჭე.

უდაბნოს გამომწვარი ყვითელი ქვიშის ფონზე კვარცხლბეკზე შემოდგმული ძეგლებივით ვეებერთელა კაშკაშა ფირუზისფერი, ზურმუხტივით მწვანე გუმბათები მზის სხივებს ირეკლავენ და ოქროს ბზინვარებით ანათებენ.



რეგისტანის კომპლექსი, ბუხარა




როგორი ჭურჭელი და სამკაული შეიძლება შეგვხვდეს აღმოსავლურ ბაზარში?

დავალება

A4 ფორმატის თეთრი ქაღალდი, ფერადი ქაღალდი, ფლომასტერები

- ფერადი ქაღალდისგან გამოჭერი ძველი აღმოსავლური ქაღაქის სილუეტები და ქაღალდის ფურცელზე დააწებე. ფლომასტერებით გააფერადე კედლების აუზული ჩუქურთმა. წინა ხედზე გამოსახე ხალხმრავალი და ხმაურიანი ბაზარი.



ძველი საბერძნეთის ხელოვნება

საუბარი იმ ქვეყანაზე, რომლის ხელოვნებამაც განსაკუთრებული ზე-გავლენა მოახდინა მსოფლიო კულტურაზე, ალბათ, უმჯობესია მისი სა-სელნოდებიდან დავიწყოთ. ელადა – ასე უწოდებდნენ თავიანთ ქვეყანას მისი მცხოვრებლები, საკუთარ თავს კი – ელინებს (მითური წინაპრის, ელინის სახელის მიხედვით). მოგვიანებით ამ ქვეყანას ძველი საბერძნე-თი უწოდეს.



ძველმა ბერძნებმა პირველებმა დააფასეს და ხოტბა შეასხეს ადამიანის სხეულის სი-ლამაზეს, მისი ნებისყოფის ძალასა და გო-ნიერებას, ხოლო თავიანთი წარმოდგენა ღმერთებზე ადამიანის მშვენიერი გამოსახუ-ლებით გამოხატეს. ღმერთების პატივსაცე-მად ძველი ბერძნები ტაძრებს აგებდნენ. სა-დაც არ უნდა აეგოთ ეს ნაგებობები, იქნებოდა ეს დაბლობი თუ ზღვის სანა-პირო, ისინი პეიზაჟის მშვენება ხდებოდა. ღმერთების პატივსაცემად ელინე-ბი დიდ პანათენურ დღესასწაულებს მართავდნენ.

ამ დღესასწაულის მთავარი მოვლენა საზეიმო მსვლელობა იყო. იგი გან-თიადისას იწყებოდა. მოდიოდნენ გვირგვინებით მორთული ადამიანები, ყმანვილები ცხენებით ჯირითობდნენ, ქალწულებს მოჰქონდათ ძლვენი, რომელშიც გამოირჩეოდა ქალღმერთ ათენას უზარმაზარი მოქარგული სა-ბურველი. დღესასწაულის მთავარი მონაწილეები ახალგაზრდა გოგონები იყვნენ. მათში სიხარულისა და მხიარულების გამოხატულებას ხედავდნენ.

მაგრამ ყველაზე დიდ დღესასწაულად ძველ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშები ითვლებოდა. მათი ჩატარების დროს ქვეყანაში „საღვთო ზავი“ ცხადდებოდა. თამაშებისთვის გრანდიოზულ ნაგებობებს აშენებდნენ. ერთ-ერთი მათგანია ტაძარი, რომელიც ყველაზე ძლევამოსილი ღმერთის, ზევ-სის, სახელს ატარებს.



ძნელია იპოვო ოსტატები, რომლებსაც ძველი ბერძნებივით უზადოდ შეძლოთ არქიტექტურასა და ქანდაკებაში პროპორციების სიზუსტისა და ფორმების წონასწორობის გამოხატვა. დღესაც სამყაროს ყველა მხატვარი სახვითი ხელოვნების საიდუმლოებას ბერძნული ქანდაკებების მიხედვით ეუფლება.

გაეცანი


პართენონი ძველი საბერძნეთის ყველაზე ღირსშესანიშნავ ნაგებობად ითვლება. ბერძნულ ენაზე ეს სიტყვა „ქალნულ ათენას ტაძარს“ ნიშნავს. ეს ტაძარი ქალაქ ათენის ფლატოვან მაღლობზე, **აკროპოლისში** (ნიშნავს „ზედა ქალაქს“) იყო აგებული. აკროპოლისის ცენტრალურ მოედანზე აღმართულია ქალაქის მფარველის, ბრძენი ქალღმერთის, ათენას ქანდაკება. აკროპოლისის მოედანზე, პართენონის პირდაპირ, **ერექტეიონის** ტაძარი მდებარეობს, რომელიც კიდევ უფრო მეტად აძლიერებს პართენონის დიდებულებას.

ქალღმერთი
ათენა



ერექტეიონი

პართენონი




ქალაქ ათენის მაღლობი – აკროპოლისი

რა შეიძლება შევიტყოთ ელინების ყოველდღიური ყოფის შესახებ? ამაზე ამფორები – ბერძნული ლარნაკები – მოგვითხრობენ. ნახატები ძველ ბერძნულ ლარნაკებზე ლარნაკნერის უმშვენიერესი ნიმუშებია. ეს გამოსახულებები ხაზს უსვამს ჭურჭლის ფორმის სილამაზეს.

გაეცანი

ლარნაკებს მოწითალო ფერის თიხისგან ამზადებდნენ. თავიდან ნახატს ლარნაკზე შავი ლაქით ხატავდნენ. მოგვიანებით პირიქით კეთება ისწავლეს: მოხატულობის ფონს შავი ლაქით ფარავდნენ, გამოსახულებების ფიგურები კი თიხის ფერის რჩებოდა.



ლარნაკნერის ფრაგმენტი



ძველბერძნული ლარნაკები

ლარნაკნერები ჩვეულებრივ ყოფით სცენებს ლარნაკებზე ისეთი ოსტატობით გამოსახავდნენ, რომ ლარნაკი ხელოვნების ნამდვილი ნიმუში ხდებოდა. მხოლოდ ელადის ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი ყოველდღიურობის პოეტურ სახეებად გადაქცევა.



- როგორია ძველი ელადის ნაგებობების სახასიათო ნიშნები?
- რა ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ ელინების შესახებ ძველბერძნულ ლარნაკებს?

გუაში, ფლომასტერები, პასტელის ფარცები

დავალება

- ჯგუფურად შექმნით პანო „ოლიმპიური თამაშები ძველ საბერძნეთში“. შეეცადეთ, აჩვენოთ ბუნება, ტაძრები, ადამიანთა სილუეტები და ბერძნული ლარნაკები, რომელებიც ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულებს გადაეცემოდა. სამუშაო ერთმანეთში გადაინაწილეთ.

27 | შუა საუკუნეების ეპოქული ქალაქები

გოტიკური ქალაქის სახე


ევროპის ბევრ ქალაქს შუა საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი და ისინი დღემდე ინარჩუნებენ ძველებურ იერს. ეს განსაკუთრებით ქალაქის ცენტრს ეხება.

შუა საუკუნეები არის დროის მონაკვეთი ძველსა და თანამედროვე სამყაროს შორის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. შუა საუკუნეების ევროპული ქალაქის ტაძრებს გოტიკურს უწოდებენ. გოტიკური ხუროთმოძღვრების მთავარი იდეა სიმაღლისკენ სწრაფვაა. ქალაქის ნაგებობებს შორის ტაძარი თავისი დიდებულებით გამოირჩეოდა, ზეაღმართული კოშკებითა და წვეტიანი გუმბათით (შპილით). მისი ფასადის ქვედა ნაწილში, რომელიც მოედნის მხარეს გამოდიოდა, პორტალები – შესასვლელები მდებარეობდა. ტაძრის ქვის აუზრული კონსტრუქციები ვიტრაჟებითაა მორთული – ეს არის ფერადი მინები, რომლებიც ფანჯრის სივრცეს ავსებს. ვიტრაჟი შებეჭეს ჰგავს, მაგრამ ვიტრაჟის ფრაგმენტების შემაერთებელი სამაგრები მეტალისაა და არა ხის.

ვიწრო, ოლროჩოლრო ქუჩებზე მიჯრით ჩამწკრივებული სახლების ორფერდა სახურავები სიმაღლეში „იზრდებოდა“¹. ზოგიერთ ქუჩაზე ერთი და იმავე ხელობის ადამიანები ცხოვრობდნენ.



გაეცანი



ვიტრაჟი
ნეინდანთა ქანდაკებები
პორტალი
ნოტრ-დამის ტაძარი.
პარიზი

შუა საუკუნეების ქალაქი. ძმები ლიბბურგების მინიატურა. ფრაგმენტი

გოტიკური ტაძრები ქალაქის ვიწრო ქუჩებისთვის იყო შექმნილი. კოშკების დიდებული შპილები ცისკენ იყო ატყორცნილი. ფასადის ქვემო ნაწილში განთავსებული იყო პორტალი ნეინდანთა ქანდაკებებით.

¹ფასადი (ფრანგული სიტყვა) – სახე, იერი. შენობის წინა ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, ქუჩის მხარეს იყო მიმართული.

ასეთი ქუჩები შესაბამის სახელებს ატარებდა: მჭედლების, ფეიქრების, მე-
თუნებების და ა.შ.

ყველაზე ლამაზი და მდიდრული ნაგებობები ცენტრალურ მოედანზე გა-
მოდიოდა.

ქალაქის ყველა მცხოვრები (წარჩინებული პირები, რაინდები, მღვდელ-
მსახურები, სწავლულები და ოსტატები) თავისი საქმით იყო დაკავებული.
სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის ადამიანები სხვადასხვაგვარად
იცვამდნენ. მდიდრების ტანისამოსი ფერადოვანი იყო, ღარიბებს კი ეკ-
რძალებოდათ კაშკაშა ტანისამოსის ტარება. ტანისამოსის ფერი და მორ-
თულობა იმაზე მიანიშნებდა, თუ რას საქ-
მიანობდა მისი მფლობელი. სამოსში, ისე-
ვე როგორც არქიტექტურაში, ვერტიკა-
ლური ხაზები ჭარბობდა. ტანისაცმლის
მკაცრი და კონტრასტული იერი ადამი-
ანის გარეგნობას იდუმალებას სძენდა.
შემთხვევითი არ არის, რომ ჯადოქრებს
სწორედ იმ ეპოქის ადამიანების იერით
გამოსახავენ.



წვეულება შუა საუკუნეებში



შუა საუკუნეების ტანისამოსი



- როგორ გამოიყურებოდა ევროპული ქალაქები შუა საუკუნეებში?
- რა განასხვავებდა ძველ აზერბაიჯანულ ქალაქებს ევროპის ქალაქებისგან?


აკვარელი, გუაში, პასტელის ცარცები, ფლომასტერები

დავალება

- თანაკლასელებთან ერთად შექმენი შუა საუკუნეების ევროპული ქალაქის ცენტრალური მოედნის პანო. არ დაგავიწყდეთ გოტიკური ტაძრისა და მოსეირნე მო-
ქალაქების გამოსახვა.

შეაძლოთ შეიტყობინოთ

1. დაასახელე და გვიამბე, რა იცი ამ ნაგებობების შესახებ?



2. რომელი ქვეყნის ხელოვნებას მიეკუთვნება ეს ნივთები?



Təsviri incəsənət – 4
*Ümumtəhsil məktəblərinin 4-cü sınıf üçün
“Təsviri incəsənət” fənni üzrə dərslik
Gürcü dilində*

Tərtibçi heyət:

Müəlliflər: **Yegane Qələndar qızı Cəlilova
Kəmalə Əhməd qızı Cəfərzadə**

Tərcüməçi	T.Adorneli
Redaktoru	L.Bakradze
Bədii redaktoru	T.Məlikov
Texniki redaktoru	Z.İsayev
Dizayneri	Y.Sikarişvili
Rəssamları	M.Hüseynov, E.Məmmədov
Korrektoru	L.Umikaşvili

Dərsliyin gürcü dilində nəşri "Deogene" nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin
07.07.2011-ci il tarixli 1197 №-li əmri ilə
təsdiq olunmuşdur.*

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2016

Kağız formatı: 57 × 82¹/₈, Fiziki çap vərəqi: 9. Səhifə sayı 72.
Tirajı: 200. Pulsuz.

“Şərq-Qərb” ASC-nin mətbəəsində çap olunmuşdur.

Pulsuz



Əziz məktəbli !

Bu dərslik sənə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir. O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sənə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, sən də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsan ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşın ondan sənin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sənə təhsildə uğurlar arzulayırıq!